

ჭიგნი მომზადებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ.კეტშოველის
სახელობის პოტანიკის ინსტიტუტი

**THE BROCHURE IS PREPARED IN N.KETSHOVELI INSTITUTE OF BOTANY, GEORGIAN
ACADEMY OF SCIENCES**

გამოცემა განხორციელებულია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF)
დახმარებით

**THE BROCHURE IS PUBLISHED WITH SUPPORT OF WORLD WIDE FUND FOR NATURE
(WWF)**

პროფ. რევაზ ქვაჩაძე

საქართველოს ტუნიბი

ძირითადი ასოციაციები (ტყის ტიპები)

„მეცნიერება“

თბილისი 2001

Prof. REVAZ KVACHAKIDZE

FORESTS OF GEORGIA

Principal Associations

"METSNIEREBA"

TBILISI 2001

განხილულია საქართველოს ტყეების ტიპოლოგიური სტრუქტურა. გამოყოფილია 23 ფორმაცია და 280 ასოციაცია (ტყის ტიპი). მოცემულია მათი მოკლე დახასიათება (დიაგნოსტიკა).

Typological structure of the Georgian forests has been considered. 23 formations and 280 associations have been registered, a brief characteristics (diagnostics) of forest associations has been given.

რედაქტორი: მერაბ სვანიძე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: ტარიელ ბახსოლიანი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
კახა იაშალაშვილი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

შინასითუ პირზა

ბუნებაში ფიტოცენოზთა დიდი მრავალფეროვნებაა, რაც, უწინარესად, გარემო პირობების მრავალგვარობითაა განპირობებული. ამ მრავალფეროვნებაში უკეთ გარჩვევისა და მისი სრულად შეცნობის მიზნით, მეცნიერები მიმართავენ ფიტოცენოზთა დაჯგუფებას მორფოლოგიური მსგავსების ნიშნით, ანუ ფიტოცენოზთა სისტემატიზაციას (კლასიფიკაციას), სინტაქსონომიურ ერთეულებში ფიტოცენოზთა გაერთიანებას. ძირითად სინტაქსონის, მე-6 საერთაშორისო ბოტანიკური კონგრესის (ციურიხი, 1910 წ.) გადაწყვეტილებით, წარმოადგენს ასოციაციას.

ტყის ასოციაციის გამოყოფისა და დახასიათებისათვის (ასოციაციის დიაგნოსტიკისათვის), არსებული წესის თანახმად, აუცილებელია მინიმუმ 5 კონკრეტული ფიტოცენოზის აღწერა და ანალიზი. ცხადია, ფართო გეოგრაფიული და ეკოლოგიური არეალის მქონე ტყის ასოციაციის (რაც საქართველოს ტყის ასოციაციების დიდ ჯგუფს შეადგენს) დახასიათებისათვის, მისი სტრუქტურული ორგანიზაციის სრულად გამოვლენისათვის (ასოციაციის დიაგნოსტიკისათვის) 5 კონკრეტული ფიტოცენოზის აღწერა-ანალიზი სრულიად არასაკმარისია. ამისათვის საჭიროა ასოციაციის გეოგრაფიული არეალის სხვადასხვა ნაწილში განვითარებული ათეულობით ფიტოცენოზის აღწერა, ფიტოცენოზური ცხრილების შედგენა და მათი ანალიზი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ტყების ფიტოცენოზური მრავალფეროვნების გამოვლენის მიზნით, უწინარესად, აუცილებელია დაგვინდეს მთლიანად ქვეყნის ტყების ასოციაციური შედგენილობა (ტიპოლოგიური სტრუქტურა) და შედგენილი იქნეს თითოეული ტყის ასოციაციის მოკლე დიაგნოსტიკა, რაც შეიძლება განხორციელდეს სადღეისოდ არსებულ ტიპოლოგიურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამით ხელთ გვექნება მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია - ცნობარი საქართველოს ტყების ფიტოცენოზური (ტიპოლოგიური) მრავალფეროვნების შესახებ.

მუშაობის მეორე ეტაპი - ტყის ასოციაციების, აგრეთვე ფიტოცენოზთა მთავარი ცენოტიპების (დომინანტები და დამახასიათებელი სახეობები) ბიოეკოლოგიური თავისებურებების გამოკვლევაა. ტყის ასოციაციის და მთავარი ცენოტიპების დეტალური გამოკვლევა მთლიან გეოგრაფიულ არეალზე - ეს არის ერთადერთი გზა ტყის ბიოლოგიის, ეკოლოგიის და ტიპოლოგიის შესახებ ამომწურავი სამეცნიერო ინფორმაციის მიღებისა. იგი გახდება ძირითადი საფუძველი ყველა სახის სოციალურ-ეკოლოგიური და ეკონომიკური საქმიანობისათვის საქართველოს ტყეში. ყველა სხვა გზა არამართებულია, უფრო მეტიც, დიდად სახიფათოა ქვეყნის უნიკალური ბუნებრივი ტყეების შენარჩუნების თვალსაზრისით, მეტადრედლეს და მომავალში - საბაზრო ეკონომიკის (კაპიტალიზმის) პირობებში.

წინამდებარე ნაშრომი მიგვაჩნია სერიოზულ ცდად - დავადგინოთ საქართველოს ტყეების ტიპოლოგიური სტრუქტურა, წარმოვაჩინოთ ქვეყნის ტყეების ფიტოცენოზური მრავალფეროვნება ტყის ასოციაციის დონეზე. (სუბასოციაციების დონეზე საქართველოს ტყეების ტიპოლოგიური სტრუქტურის დადგენა, რაც ქვეყნის ტყეების ფიტოცენოზური მრავალფეროვნების წარმოჩენის უმაღლესი და ფაქტობრივად სრულყოფილი ფორმაა, შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ კვლევითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, რაზეც ზემოთ ითქვა).

შესაბამის

(ტერმინთა და ზოგიერთ აუცილებელ განმარტებათა შესახებ)

კონვენციაში „ბიომრავალფეროვნების შესახებ“, რომელიც მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციაზე 1992 წელს (საქართველო ამ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა), ტერმინი „ბიომრავალფეროვნება“ განმარტებულია შემდეგნაირად: „ბიომრავალფეროვნება ნიშნავს ყველა წარმოშობის ცოცხალი ორგანიზმის ერთობლიობას, მათ შორის ხმელეთის, ზღვისა და წყლის ეკოსისტემებსა და ეკოლოგიურ კომპლექსებს, რომლის შემადგენელ ნაწილსაც ისინი თავად წარმოადგენენ; ეს განმარტება მოიცავს მრავალფეროვნებას სახეობების ფარგლებში, მრავალფეროვნებას სახეობებს შორის, აგრეთვე - ეკოსისტემების მრავალფეროვნებას“ (მ. ივანიაშვილი. საერთაშორისო სამართალი ბიომრავალფეროვნების სფეროში. თბილისი, 2000).

ხმელეთის ეკოსისტემებს შორის, თავისი მნიშვნელობით, ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ტყის ეკოსისტემებს განეკუთვნება. ტყე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიომრავალფეროვნების სხვა კომპონენტების (მცენარეთა და ცხოველთა სახეობები) შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაში.

ტყის ეკოსისტემის უმთავრეს კომპონენტს ტყის ფიტოცენოზი (თანასაზოგადოება) წარმოადგენს.

ტყის ფიტოცენოზი ტყის საფარის კონკრეტული ნაწილია. ესაა მცენარეთა კონკრეტული დაგუფება (თანასაზოგადოება), რომელსაც გააჩნია გარეული გარევნული სახე (ფიზიონომია), ფლორისტული შედგენილობა, აგებულება, საარსებო პირობები.

ტყის ფიტოცენოზები, რომლებიც მსგავსია ამ ძირითადი (დიაგნოსტიკური) ნიშნების მიხედვით, ერთიანდება ტყის ფიტოცენოზის ტიპში, რომელიც ტყის ასოციაციის სახელით აღი-ნიშნება (მეტყევე მეცნიერები და პრაქტიკოსები ტყის ასოციაციის ნაცვლად ხშირად იყენებენ ფაქტობრივად იმავე შინაარსის გამომხატველ ტერმინს - „ტყის ტიპი“).

საქართველო ტყით მდიდარი ქვეყანაა. ტყეები გავრცელებულია დიდი და მცირე კავკასიონის კალთებზე, ზ.დ. 2300-2500 (2600) მ სიმაღლემდე. სადლეისოდ ტყეები რაოდენობრივად ძლიერ შემცირებულია მთათა კალთების ქვემო ნაწილში - დასავლეთ საქართველოში ზ.დ. 400 (500) მ-მდე, აღმოსავლეთ საქართველოში ზ.დ. 700 (800) მ-მდე, ასევე სუბალპებშიც (ზ.დ. 1800-2500 მ ფარგლებში). სამაგიეროდ (და საბენიეროდ), მთათა კალთებზე საკმაოდ ფართო ზოლი - ზემო-აღნიშნულ აბსოლუტურ სიმაღლეთა შორის - უხვტყიანია. აქ ჯერ კიდევ შემორჩენილია ფაქტობრივად ხელუხლებელი და სამეურნეო საქმიანობით მცირედ სახეშეცვლილი ბუნებრივი ტყის მასივებიც.

მცირეტყიანი, ფაქტობრივად უტყეოა საქართველოს მთათაშორისი ბარის ტერიტორია. ბუნებრივი ტყე აქ მხოლოდ ცალკეული კუნძულების სახით არის შემორჩენილი (მათი უმეტესობა დაცულ ტერიტორიად არის გამოყოფილი).

ტყეების საერთო ფართობი საქართველოში 2 767 300 ჰა-ს შეადგინს, რაც ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის თითქმის 40%-ია. (ტყეების საერთო ფართობის, ასევე ცალკეული ფორმაციის ტყის ფართობის შესახებ მონაცემები მოტანილია სახელმწიფო ტყეთმოწყობის მასალების მიხედვით; გიგაური, 1980, 2000).

საქართველოს ბუნებრივი ტყეები უნიკალურია მრავალი ასპექტით, უწინარესად კი სახეობრივი და ფიტოცენოზური შედგენილობის მრავალფეროვნებით. იგი განპირობებულია, უმთავრესად, სამი გარემოებით: ქვეყნის ადგილობრივი ფლორის სიმდიდრით (4200-მდე სახეობის უმაღლესი ჭურჭლოვანი მცენარე), გარემო პირობების (უწინარესად - რელიეფის და ჰავის) მრავალგვარობით, ფლორისა და მცენარეულობის განვითარების ხანგრძლივი და უწყვეტი გზით (მესამეულიდან დღემდე).

საქართველოში განვითარებულია წიწვიანი (16,4%) და ფოთლოვანი (83,6%) ტყეები. ბარში და მთის კალთების ქვემო ნაწილში ფართო გავრცელებას აღწევს მესამეულ-რელიეტური მცენარეულობის წარმომადგენლები (ფიტოცენოზები). განსაკუთრებით დიდი მრავალფეროვნებით ეს უძველესი მცენარეულობა დასავლეთ საქართველოშია წარმოდგენილი, რაც იმან განაპირობა, რომ ამ ტერიტორიაზე დიდი ცვლილებების გარეშე შემონახული იქნა მესამეულ-რელიეტური ჰავა (შავი ზღვის ძლიერი გავლენა). აღმოსავლეთ საქართველოში

მესამეულ-რელიქტური მცენარეულობა, - ძირითადად არასრული სახით (რელიქტურია ფიტოცენოზთა ცალკეული იარუსები), მხოლოდ მის დასავლურ ნაწილში და კახეთშია შემორჩენილი.

ტექსტში გამოყენებულია ზოგიერთი სპეციალური ფიტოცენოლოგიური ტერმინი, რომელთა აქ განმარტება საჭიროდ ვცანით:

„დომინანტი“ - ფიტოცენოზში გაბატონებული სახეობა (სიმრავლით, მასით). გამოიყოფა იარუსების მიხედვით. დომინანტი სახეობები განსაზღვრავს ფიტოცენოზის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ორგანიზაციას.

„კოდომინანტი“ - მთავარ იარუსში გაბატონებული (ან შედარებით ჭარბად წარმოდგენილი) სახეობათაგანი, თანადომინანტი. კოდომინანტი ინაწილებს მთავარი იარუსის დომინანტის ფუნქციას.

„ედიფიკატორი“ - მთავარი იარუსის შემქმნელი (ფიტოცენოზის მშენებელი), იგივე დომინანტი. ძლიერი ედიფიკატორი (მაღალასაკოვანი, ჩრდილისამტანი, დიდი ზომის, კომპაქტური ვარჯით) ქმნის ტყის სპეციფიკურ მიკროკლიმატს, დიდ (მაღიმიტირებულ) გავლენას ახდენს მთლიანად ფიტოცენოზის ფლორისტულ შედგენილობასა და აგებულებაზე.

„ასოციაციის დამახასიათებელი სახეობა“ - მაღალკონსტანტური სახეობა, მუდმივობის საკმაოდ მაღალი ხარისხით (გვხვდება ფიტოცენოზის ნაკვეთების, ე.წ. სანიმუშო ფართობების 40%-ზე მეტში). დომინანტები და დამახასიათებელი სახეობები ერთობლივად ქმნიან ფიტოცენოზთა (ასოციაციის) ფლორისტულ ბირთვს.

„იშვიათი ასოციაცია“ - გავრცელებულია შეზღუდულ ტერიტორიაზე ან სულ რამდენიმე კონკრეტულ ადგილზე (ლოკალურად). იშვიათ ასოციაციას მიეკუთვნება ისიც, რომელიც 1-2 ფიტოცენოზის საფუძველზე აღიწერება და დახასიათდება (ბუნებაში მეტი არ მოიძევება, ან ჯერჯერობით არაა მიკვლეული).

იარუსები: „A“ - ხემცენარეთა; „B“ - ბუჩქების (ქვეტყე); „C“ - ბალახოვან მცენარეთა (ტყის ბალახეული საფარი); „D“ - ხავსების და მღიერების.

ასოციაციის ადგილსამყოფელის დახასიათებისას გამოყენებულია ნიადაგის ტენიანობის ზოგადად ამსახველი (პირობითი) ტერმინოლოგია: ნიადაგი - ჭარბტენიანი, ტენიანი, მოტენიანო, ზომიერად დატენიანებული, მომშრალო, მშრალი.

ასოციაციის დასახელება მოტანილია საქართველოში და მეზობელ ქვეყნებში (რუსთი, უკრაინა, ყაზახეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და სხვ.) ტრადიციულად გამოყენებული აღნიშვნებით. ტყის ასოციაციის დასახელების შემდეგ მოტანილია ავტორები (გვარი და ნაშრომის გამოქვეყნების წელი; ხელნაწერი ნაშრომისათვის - მისი გამოსაქვეყნებლად მომზადების წელი), რომელთა ინფორმაციაზე დაყრდნობით შევადგინთ ასოციაციის მოკლე დიაგნოსტიკა.

საქართველოს ტყის ფორმაციები და ასოციაციები

1. წიფლნარები (*Fageta; Fagus orientalis*)^{*}

წიფლნარი ტყეები ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში. საერთო ფართობი შეადგენს 1,175 მლნ ჰა-ს. წიფლნარებით შემოსილია დიდი და მცირე კავკასიონის კალთები, ზ.დ. 150-200 მ-დან (აღმოსავლეთ საქართველოში 600-800 მ-დან) 2300-2350 მ-მდე (აღმოსავლეთ საქართველოში 2100-2150 მ-მდე). წიფლნარი ტყეების გავრცელება მკვეთრად შეზღუდულია სამხრეთ საქართველოში (მესხეთი), ხოლო თუშეთში საერთოდ არ ვრცელდება.

წიფლნარი ტყეები ფიტოცენოლოგიურად (ტიპოლოგიურად) მრავალფეროვანია.

1.1. წიფლნარი შეერის ქვეტყით (*Fagetum pontico-rhododendrosum*).

პოვარნიცინი, 1931, 1936; მახათაძე, 1964; ქვაჩაკიძე, 1979, 1995; დოლუხანოვი, 1989.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,5-0,8 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - შეერი (*Rhododendron ponticum*). დამახასიათებელი სახეობა - წყავი (*Laurocerasus officinalis*), კოლხური სურო (*Hedera colchica*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 50-90% ფარგლებში.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - *Dryopteris filix mas*, *Trachystemon orientale*.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლურ ნაწილში (ბორჯომის ხეობა), ზ.დ. 150-200 მ-დან 2000 მ-მდე. გვხვდება, უმეტესად, შედარებით ვიწრო, ტენიან ხეობებში, ჩრდილოეთის, დასავლეთის, აღმოსავლეთის ექსპოზიციის სხვადასხვა დაქანების (5-6°-დან 40°-მდე) ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ, მოტენიანო, ტენიან ნიაღაგებზე.

1.2. წიფლნარი უნგერნის შეერის ქვეტყით (*Fagetum ungerni-rhododendrosum*).

დოლუხანოვი, 1989.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - წაბლი (*Castanea sativa*), ცაცხვი (*Tilia caucasica*) - ჰიტსომეტრიული არეალის ქვემო ნაწილში; ნაძვი (*Picea orientalis*), სოჭი (*Abies nordmanniana*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*) - ჰიტსომეტრიული არეალის ზემო ნაწილში. საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - უნგერნის შეერი (*Rhododendron ungernii*). გავრცელებულია აჭარა-გურიის მთების დასავლურ, ზღვისაკენ მიქცეულ ნაწილში, ზ.დ. 600-800 მ-დან 2000 მ-დე. ადგილსამყოფელი (ნიაღაგი) ჭარბტენიანია (ნალექების წლიური რაოდენობა 3000 მმ-ზე მეტი).

1.3. წიფლნარი წყავის ქვეტყით (*Fagetum laurocerasosum*).

პოვარნიცინი, 1931, 1936; მახათაძე, 1964; ქვაჩაკიძე, 1979, 1980, 1995.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - ნაძვი (*Picea orientalis*), ცაცხვი (*Tilia caucasica*), რცხილა (*Carpinus caucasica*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,8 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - წყავი (*Laurocerasus officinalis*). დამახასიათებელი სახეობა - ჭყორი (*Ilex colchica*), მერხლი (*Ruscus hypophyllum*), იელი (*Rhododendron luteum*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*). პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 40-90% ფარგლებში.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - *Asperula odorata*, *Calamintha grandiflora*, *Dentaria bulbifera*, *Dryopteris filix mas*, *Trachystemon orientale*.

* მცენარეთა დასახელება მოტანილია „საქართველოს მცენარეების სარკვევი“-ს (თბილისი, 1964, 1969 წწ.) მიხედვით.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლურ ნაწილში (ბორჯომის ხეობა, დასავლეთი თრიალეთი, დიდი ლიახვის ხეობა), ზ.დ. 100-200 მ-დან 2000-2200 მ-დე. გვხვდება, მეტწილად, სამხრეთის და აღმოსავლეთის ექსპოზიციის სხვადასხვა დაქანების ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიადაგებზე. ვითარდება კირის შემცველ (კარბონატულ) ნიადაგებზეც.

1.4. წიფლნარი ჰყორის ქვეტყით (*Fagetum ilexosum*).

დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; დოლუხანოვი, 1989; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, ლაჩაშვილი, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), ქორაფი (*Acer laetum*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,85.

იარუსი B: დომინანტი - ჰყორი (*Ilex colchica*). დამახასიათებელი სახეობა - კოლხური სურო (*Hedera colchica*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), მოლოზანა (*Viburnum orientale*). პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 20-80% ფარგლებში.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - *Athyrium filix femina*, *Dryopteris filix mas*, *Festuca montana*, *Paris incompleta*, *Rubus hirtus*, *Trachystemon orientale*.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, იშვიათად - აღმოსავლეთ საქართველოშიც (საგურამოს ქედის ჩრდილო კალთა და სხვ.), ზ.დ. 1000-2000 მ ფარგლებში. გვხვდება ყველა ექსპოზიციის საშუალო და დიდი დაქანების ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიადაგებზე (მათ შორის კარბონატულ ქანებზე განვითარებულ ნიადაგებზეც).

1.5. არყნარ-წიფლნარი დეკას ქვეტყით (*Betuleto-Fagetum caucasico-rhododendrosum*).

ბუში, 1936; მახათაძე, 1965; ქვაჩაკიძე, 1979, 1980.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). კოდომინანტი - ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*). დამახასიათებელი სახეობა - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), ცირცელი (*Sorbus caucasigena*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,6 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - დეკა (*Rhododendron caucasicum*). დამახასიათებელი სახეობა - წყავი (*Laurocerasus officinalis*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), გოგოსა (*Sorbus subfusca*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*). პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 45-90% ფარგლებში.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეულად) - *Asperula odorata*, *Chamaenerium angustifolium*, *Geranium silvaticum*, *Festuca montana*, *Gymnocarpium dryopteris*, *Myosotis sparsiflora*.

გავრცელებულია დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე - დასავლეთ საქართველოს ფარგლებში, ზ.დ. 1900 მ-დან 2350 მ-დე. გვხვდება მომცრო ნაკვეთებისა და ფრაგმენტების სახით, ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ექსპოზიციის დიდი დაქანების ფერდობებზე, ტენიან ნიადაგებზე. იშვიათი ასოციაციაა.

1.6. წიფლნარი სუროს საფარით (*Fagetum hederosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991, 1992; ქვაჩაკიძე, 1999; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, ლაჩაშვილი, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), ცაცხვი (*Tilia caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,75-0,9.

იარუსი B: დომინანტი - პასტუხოვის სურო (*Hedera pastuchovii*). დამახასიათებელი სახეობა - ტაბლაცურა (*Eryngium latifolium*), მაყვალი (*Rubus caucasicus*). პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 30-70% ფარგლებში.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - *Asperula odorata*, *Circaeae lutetiana*, *Dryopteris filix mas*, *Pachyphragma macrophyllum*, *Phyllitis scolopendrium*, *Polypodium vulgare*.

გავრცელებულია კახეთის კავკასიონზე - პროლუვიურ ტერასებზე და ლრმა ხეობებში, ზ.დ. 500-600 მ-დან 1300 მ-დე. ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე საგურამოს ქედის ჩრდილო

კალთაზე, ზ.დ. 1000-1400 მ სიმაღლეზე. გვხვდება მომცრო და საშუალო ზომის ნაკვეთების (0,1 ჰა-დან 1-2 ჰა-მდე) სახით, ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსპოზიციის სხვადასხვა ხარისხით დაქანებულ ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიაღაგებზე.

1.7. რცხილნარ-წიფლნარი სუროს საფარით (*Carpinetto-Fagetum hederosum*).

ქვაჩაკიძე, 1991, 1999; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). კოდომინანტი - რცხილა (*Carpinus caucasica*). დამახასიათებელი სახეობა - მურყანი (*Alnus barbata*), ცაცხვი (*Tilia caucasica*), დიადი ბოყვი (*Acer velutinum*). საბურვლის შეკრულობა 0,8-0,9.

იარუსი B: დომინანტი - პასტუხოვის სურო (*Hedera pastuchovii*). დამახასიათებელი სახეობა - მაყვალი (*Rubus caucasicus*). პროექციული დაფარულობა 40-50%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - *Asperula odorata*, *Circaea lutetiana*, *Dryopteris filix mas*, *Polystichum lobatum*, *Salvia glutinosa*.

გავრცელებულია კახეთის კავკასიონზე, პროლუვიურ ტენიან ტერასებზე, 10⁰-მდე დაქანებით.

1.8. რცხილნარ-ცაცხნარ-წიფლნარი სუროს საფარით (*Carpineto-Tilieto - Fagetum hederosum*).

ქვაჩაკიძე, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). კოდომინანტი - რცხილა (*Carpinus caucasica*), ცაცხვი (*Tilia caucasica*). შერეულია ერთეული სახით - იფანი (*Fraxinus excelsior*), ლევა (*Acer platanoides*), დიადი ბოყვი (*Acer velutinum*). საბურვლის შეკრულობა 0,7.

იარუსი B: დომინანტი - პასტუხოვის სურო (*Hedera pastuchovii*). მცირე რაოდენობით და ერთეული სახით გვხვდება თხილი (*Corylus avellana*), ტაბლაყურა (*Evonymus latifolia*), უცვეთელა (*Philadelphus caucasicus*), ღიღგულა (*Sambucus nigra*), მაყვალი (*Rubus caucasicus*). პროექციული დაფარულობა 45-50%.

იარუსი C: მცირე რაოდენობით და ერთეული სახით - *Aristolochia iberica*, *Asperula odorata*, *Circaea lutetiana*, *Pachyphragma macrophyllum*, *Polystichum lobatum*.

იშვიათი ასოციაციაა. გვხვდება დიდი დაქანების სამხრეთის და აღმოსავლეთის ექსპოზიციის ფერდობების ქვემო, მდინარისპირა ზოლში. აღვწერეთ კახეთის კავკასიონზე (ლაგოდეხის ნაკრძალი), ზ.დ. 730 მ სიმაღლეზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის ექსპოზიციის ფერდობზე, დაქანება 35-40⁰, ზომიერად დატენიანებული ქვიან-ხირხატიანი ნიაღაგი.

1.9. უთხოვრიან-წიფლნარი სუროს საფარით (*Taxeto-Fagetum hederosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*), პირველი ქვეიარუსი; კოდომინანტი - უთხვარი (*Taxus baccata*), მეორე ქვეიარუსი. დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), ცაცხვი (*Tilia caucasica*), ქორაფი (*Acer laetum*). საბურვლის შეკრულობა 0,8-0,9.

იარუსი B: დომინანტი - პასტუხოვის სურო (*Hedera pastuchovii*). დამახასიათებელი სახეობა - იელი (*Rhododendron luteum*), ტაბლაყურა (*Evonymus latifolia*), მელიქაური (*Daphne pontica*), მაყვალი (*Rubus caucasicus*). პროექციული დაფარულობა 30-45%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - *Asperula odorata*, *Cephalanthera rubra*, *Circaea lutetiana*, *Dryopteris filix mas*, *Pachyphragma macrophyllum*, *Phyllitis scolopendrium*.

გავრცელებულია კახეთის კავკასიონზე (პანკისის ხეობა, ბაჭარას ნაკრძალი), ზ.დ. 900-1300 მ ფარგლებში. გვხვდება ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსპოზიციის 25-35⁰ დაქანებულ ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიაღაგებზე. იშვიათი ასოციაციაა.

1.10. უთხოვრიან-წიფლნარი ჭყორიან-სუროიანი საფარით (*Taxeto-Fagetum ilexoso - hederosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*), პირველი ქვეიარუსი; კოდომინანტი - უთხოვარი (*Taxus baccata*), მეორე ქვეიარუსი. საბურვლის შეკრულობა 0,8.

იარუსი B: დომინანტი - ჭყორი (*Ilex colchica*), პასტუხოვის სურო (*Hedera pastuchovii*). დამახასიათებელი სახეობა - ტაბლაყურა (*Erythronium latifolia*), მელიქაური (*Daphne pontica*), მაყვალი (*Rubus caucasicus*). პროექციული დაფარულობა 60-80%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - *Cephalanthera rubra*, *Pachyphragma macrophyllum*, *Phyllitis scolopendrium*.

გავრცელებულია კახეთის კავკასიონზე (პანკისის ხეობა, ბარახას ნაკრძალი), ზ.დ. 1000-1100 მ სიმაღლეზე, ამოზნექილ მეზორელიეფზე (თხემური შემაღლება). ნიადაგი ზომიერად დატენიანებული - მოტენიანო. იშვიათი ასოციაცია.

1.11. წიფლნარი იელის ქვეტყით (*Fagetum azaleosum*).

პოვარნიცინი, 1931; ქვაჩაკიძე, 1979, 1980, 1991; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; დოლუხანოვი, 1989; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,5-0,8 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - იელი (*Rhododendron luteum* = *Azalea pontica*). დამახასიათებელი სახეობა - ჭყორი (*Ilex colchica*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), მაყვალი (*Rubus caucasicus*). პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 20-80% ფარგლებში.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - *Asperula odorata*, *Dentaria bulbifera*, *Festuca montana*, *Rubus hirtus*, *Trachystemon orientale*, *Vicia crocea*.

გავრცელებულია, მეტწილად, დასავლეთ საქართველოში, ზ.დ. 800-2000 მ ფარგლებში. აღმოსავლეთ საქართველოში მომცრო ნაკვეთების სახით აღინიშნება დიდი კავკასიონის სამხრული კალთის მთელ გაყოლებაზე და თრიალეთის ქედზე. გვხვდება საშუალო და დიდი დაქანების ფერდობებზე, მეტწილად სამხრეთის ექსპოზიციაზე. ჩვეულებრივია ამოზნექილ მეზორელიეფზე და წყალგამყოფი ქედების თხემებზე. ნიადაგი მომშრალო და ზომიერად დატენიანებული.

1.12. წიფლნარი კავკასიური მოცვის ქვეტყით (*Fagetum arctostaphylosum*).

პოვარნიცინი, 1931; მახათაძე, 1964; ქვაჩაკიძე, 1979, 1980; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; დოლუხანოვი, 1989; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - სოჭი (*Abies nordmanniana*), - დასავლეთ საქართველო; რცხილა (*Carpinus caucasica*), - აღმოსავლეთ საქართველო. საბურვლის შეკრულობა 0,6-0,8.

იარუსი B: დომინანტი - კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*). დამახასიათებელი სახეობა - ჭყორი (*Ilex colchica*), იელი (*Rhododendron luteum*), მოლოზანა (*Viburnum orientale*), სურო (*Hedera colchica*), მაყვალი (*Rubus caucasicus*). პროექციული დაფარულობა მერყეობს 20-90% ფარგლებში.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - *Asperula odorata*, *Festuca montana*, *Oxalis acetosella*, *Paris incompleta*, *Rubus hirtus*, *Solidago virgaurea*.

გავრცელებულია, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება შედარებით იშვიათად (ბორჯომის ხეობა, დასავლეთი თრიალეთი, დიდი ლიახვის ხეობა, სპორადულად - დიდი კავკასიონის სამხრული კალთის მთელ გაყოლებაზე). ვრცელდება ზ.დ. 500 მ-დან 2000-2200 მ-მდე. გვხვდება სხვადასხვა ექსპოზიციის საშუალო და დიდი დაქანების ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ და მომშრალო ნიადაგებზე. წარმოდგენილია რამდენიმე ვარიანტის (სუბასოციაციის) სახით.

1.13. წიფლნარი მოლოზანას ქვეტყით (*Fagetum viburnosum*).

პოვარნიცინი, 1931; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; დოლუხანოვი, 1989; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, ლაჩაშვილი, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - მთის ბოჟვი (*Acer pseudoplatanus*), ლეკა (*Acer platanoides*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,8.

იარუსი B: დომინანტი - მოლოზანა (*Viburnum orientale*). დამახასიათებელი სახეობა - ჭყორი (*Ilex colchica*), სურო (*Hedera colchica*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*). პროექციული დაფარულობა 50-80%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - *Dentaria bulbifera*, *Dryopteris filix mas*, *Paris incompleta*, *Rubus hirtus*, *Trachystemon orientale*.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (დიდი ლიახვის ხეობა, საგურამოს ქედის ჩრდილო კალთა), ზ.დ. 900-1900 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, ჩრდილოეთის ექსპოზიციის სუსტი და საშუალო დაქანების ფერდობებზე, ამოზნექილ მეზორელიეფზე.

1.14. წიფლნარი მაყვლის საფარით (*Fagetum rubosum*).

პოვარნიცინი, 1936; დოლუხანოვი, 1989; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991, 1992; ქვაჩაკიძე, 1995, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), ცაცხვი (*Tilia caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,85.

იარუსი B: დომინანტი - მაყვალი (*Rubus caucasicus*). დამახასიათებელი სახეობა - თხილი (*Corylus avellana*), დიდგულა (*Sambucus nigra*), ტაბლაყურა (*Eonymus latifolia*). პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 10-70% ფარგლებში.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - *Asperula odorata*, *Cephalanthera rubra*, *Circeia lutetiana*, *Dryopteris filix mas*, *Pachyphragma macrophyllum*, *Trachystemon orientale*.

გავრცელებულია წიფლნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1000-1750 მ ფარგლებში. გვხვდება ყველა ექსპოზიციის ნაირგვარი დაქანების ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიადაგებზე.

1.15. წაბლნარ-რცხილნარ-წიფლნარი მაყვლის საფარით **Castaneto - Carpineto - Fagetum rubosum**).

ქვაჩაკიძე, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). კოდომინანტი - რცხილა (*Carpinus caucasica*), წაბლი (*Castanea sativa*). შერეულია ერთეული სახით - ცაცხვი (*Tilia caucasica*), ქორაფი (*Acer laetum*). საბურვლის შეკრულობა 0,75.

იარუსი B: დომინანტი - მაყვალი (*Rubus caucasicus*). შერეულია მცირე რაოდენობით - შინდანწლა (*Sambucus nigra*), სურო (*Hedera pastuchovii*). პროექციული დაფარულობა 50-55%.

იარუსი C: მცირე რაოდენობით - *Festuca montana*; ერთეული სახით - *Asperula odorata*, *Dryopteris filix mas*, *Euphorbia silvatica*, *Salvia glutinosa* და სხვ. პროექციული დაფარულობა 6-8%.

იშვიათი ასოციაციაა. აღვწერეთ ლაგოდეხის ნაკრძალში, ზ.დ. 820 მ სიმაღლეზე („დიდი წაბლიანი“), საღაც განვითარებულია თხემურ შემაღლებაზე, სამხრეთის ექსპოზიცია, დაქანება 15°.

1.16. წიფლნარი ჩვეულებრივი მოცვის საფარით (*Fagetum myrtillorum*).

ქვაჩაკიძე, 1980.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). საბურვლის შეკრულობა 0,65.

იარუსი B: დომინანტი - ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*). შერეულია მცირე რაოდენობით - იელი (*Rhododendron luteum*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), მაყვალი (*Rubus caucasicus*); ერთეული სახით - დეკა (*Rhododendron caucasicum*). პროექციული დაფარულობა 30-40%.

იარუსი C: მცირე რაოდენობით და ერთეული სახით - *Asperula odorata*, *Calamagrostis arundinacea*, *Cephalaria gigantea*, *Oxalis acetosella*, *Senecio propinquus* და სხვ.

იშვიათი ასოციაციაა. აღვწერეთ მდ. ცხენისწყლის აუზში, მარცხნა შენაკადის - მდ. ცხენშურას სათავეებში (სოფ. შეკლ ზემო), ზ.დ. 1970 მ სიმაღლეზე. ფიტოკენოზი, 0,5 ჰა

ფართობით, განვითარებულია ჩრდილო-აღმოსავლეთის ექსპოზიციის $20-25^{\circ}$ დაქანებული ფერდობის ამოზნექილ მეზორელიეფზე, საშუალო სიღრმის ტენიან ნიაღაგზე.

1.17. წიფლნარი ჩიტისთვალის საფარით (*Fagetum asperulosum*).

გულისაშვილი, 1964; ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970; შარაშიძე, 1970; ქვაჩაკიძე, 1979, 1980, 1995; მანჭავიძე, 1982; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; დოლუხანოვი, 1989.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), არეალის მაღალმთიან ნაწილში - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). საბურვლის შეკრულობა $0,7-0,9$ (სუბალპურ ტანბრეცილ წიფლნარში - $1,0$ -მდე).

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - ტაბლაყურა (*Evonymus latifolia*), წერწა (*Lonicera caucasica*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - ჩიტისთვალა (*Asperula odorata*). დამახასიათებელი სახეობა - *Dentaria bulbifera*, *Dryopteris filix mas*, *Festuca montana*, *Geranium robertianum*, *Oxalis acetosella*, *Rubus hirtus*, *Viola reichenbachiana*. პროექციული დაფარულობა $5-15\%$.

გავრცელებულია წიფლნარი ტყის მთელს არეალზე, ზ.დ. $1100-2200$ მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთებისა და ფრაგმენტების სახით, ყველა ექსპოზიციის (უფრო იშვიათად - საშერეთის ექსპოზიციის) სუსტი და საშუალო დაქანების ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიაღაგებზე.

1.18. წიფლნარი ჩადუნიან-ჩიტისთვალიანი (*Fagetum dryopteridoso-asperulosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1992; ქვაჩაკიძე, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer traunvetteri*). საბურვლის შეკრულობა $0,6-0,7$.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - ჩიტისთვალა (*Asperula odorata*), ჩადუნა (*Dryopteris filix mas*). დამახასიათებელი სახეობა - *Euphorbia macroceras*, *Cicerbita petiolata*, *Pachyphragma macrophyllum*. პროექციული დაფარულობა $30-60\%$.

გავრცელებულია კახეთის კავკასიონზე, ზ.დ. $1600-1800$ მ სიმაღლეზე. გვხვდება ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთის ექსპოზიციის სუსტი და საშუალო დაქანების ($10-25^{\circ}$) ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიაღაგებზე.

1.19. წიფლნარი ხახიას საფარით (*Fagetum pachyphragmosum*).

დოლუხანოვი, 1989.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), ცაცვი (*Tilia caucasica*), მთის ბოყვი (*Acer pseudoplatanus*), კახეთის კავკასიონზე ემატება დიადი ბოყვი (*Acer velutinum*). საბურვლის შეკრულობა $0,7-0,8$.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა - ოხილი (*Corylus avellana*), დიდგულა (*Sambucus nigra*), მაყვალი (*Rubus caucasicus*), კახეთის კავკასიონზე ემატება სურო (*Hedera pastuchovii*).

იარუსი C: დომინანტი - ხახია (*Pachyphragma macrophyllum*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Circaea lutetiana*, *Dryopteris filix mas*, *Salvia glutinosa* და სხვ. პროექციული დაფარულობა $50-70\%$.

გავრცელებულია წიფლნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. $500-1850$ მ ფარგლებში. გვხვდება სხვადასხვა ექსპოზიციის სუსტი და საშუალო დაქანების ფერდობებზე. ფართო გავრცელებას აღწევს შიდა კახეთში, სადაც გვხვდება მოტენიანო დელუვიურ შლეიფებზეც.

1.20. წიფლნარი ანჩხლას საფარით (*Fagetum trachystemosum*).

დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; დოლუხანოვი, 1989.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - ცაცვი (*Tilia caucasica*), რცხილა (*Carpinus caucasica*), მთის ბოყვი (*Acer pseudoplatanus*), სოჭი (*Abies nordmanniana*). საბურვლის შეკრულობა $0,65-0,8$.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - მოლოზანა (*Viburnum orientale*), დიდგულა (*Sambucus nigra*).

იარუსი C: დომინანტი - ანჩხლა (*Trachystemon orientale*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Athyrium filix femina*, *Dentaria bulbifera*, *Dryopteris filix mas*, *Paris incompleta*, *Rubus hirtus*. პროცეციული დაფარულობა 20-70%.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, ზ.დ. 600 მ-დან 1950 მ-დე. გვხვდება ყველა ექსპოზიციის სუსტი და საშუალო დაქანების ფერდობებზე, მოტენიანო ნიადაგებზე.

1.21. წიფლნარი სკინტრის საფარით (*Fagetum polygonatosum*).

ქვაჩაკიძე, იაშაღაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*) - 10. შერეულია მცირე რაოდენობით - რცხილა (*Carpinus caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,9.

იარუსი B: გვხვდება მცირე რაოდენობით - თხილი (*Corylus avellana*), მთის მოცხარი (*Ribes alpinum*), ტაბლაყურა (*Eonymus latifolia*).

იარუსი C: დომინანტი - სკინტრი (*Polygonatum glaberrinum*). მცირე რაოდენობით შერეულია - *Alliaria petiolata*, *Cardamine impatiens*, *Cephalanthera rubra*, *Geranium robertianum*, *Poa nemoralis* და სხვ. პროცეციული დაფარულობა 30-50%.

იშვიათი ასოციაციაა. აღვწერეთ (ქვაჩაკიძე, იაშაღაშვილი, 1991) აღმოსავლეთ თრიალეთზე, მდ. ალგეთის ზემო წელზე (ალგეთის ნაკრძალი), ზ.დ. 1640-1670 მ სიმაღლეზე. განვითარებულია დასავლეთის ექსპოზიციის $33\text{--}35^{\circ}$ დაქანებულ ფერდობზე, ძლიერ ხირხატიან (ნაშალით გამდიდრებულ), ზომიერად დატენიანებულ ნიადაგზე. 2-3 ჰა ფართობი.

1.22. წიფლნარი ტყის ბოლოკას საფარით (*Fagetum dentariosum*).

დოლუხანვი, ქვაჩაკიძე, 1984; დოლუხანვი, 1989.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - ტყის ბოლოკა (*Dentaria quinquefolia*; არეალის ზემო ნაწილში *Dentaria bulbifera*). დამახასიათებელი სახეობა - *Cephalanthera rubra*, *Dryopteris filix mas*, *Neottia nidus-avis*, *Pachyphragma macrophyllum*. პროცეციული დაფარულობა 5-10%.

გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, დიდი კავკასიონის სამხრულ კალთაზე, ზ.დ. 700-1900 მ ფარგლებში. გვხვდება ყველა ექსპოზიციის სუსტი და საშუალო დაქანების ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიადაგებზე. საკმაოდ იშვიათი ასოციაციაა.

1.23. წიფლნარი მაღალბალახოვანი საფარით (*Fagetum altherbosum*).

ქვაჩაკიძე, 1979, 1980.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), ცირცელი (*Sorbus caucasigena*), მდგნალი (*Salix carpea*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - მაჯაღვერი (*Daphne mezereum*), მოცხარი (*Ribes biebersteinii*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - *Aconitum nasutum*, *A.orientale*, *Campanula lactiflora*, *Chaerophyllum maculatum*, *Cicerbita petiolata*, *Senecio rhombifolius*, *Valeriana alliariaefolia*. დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Inula helenium*, *Symphytum asperum*. პროცეციული დაფარულობა 75-90%.

გავრცელებულია სუბალპურ სარტყელში, ზ.დ. 1800-2150 მ ფარგლებში, მეტწილად - დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, გავაკებულ აღგილებში და სუსტი დაქანების ფერდობებზე.

1.24. ნეკერჩხლიან-წიფლნარი ხარისშუბლის საფარით (*Acereto - Fagetum seneciosum*).

ქვაჩაკიძე, 1980.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). კოდომინანტი - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,6 ფარგლებში.
იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - მაჯალვერი (*Daphne mezereum*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - ხარისშუბლა (*Senecio rhombifolius*). დამახასიათებელი სახეობა - *Aconitum nasutum*, *A.orientale*, *Athyrium filix femina*, *Dryopteris filix mas*, *Valeriana alliariaefolia*; მიწისპირა საფარში (მაღალბალახთა საბურვლის ქვეშ) - *Asperula odorata*, *Oxalis acetosella*, *Myosotis sparsiflora*, *Veronica filiformis*.

საკმაოდ იშვიათი ასოციაციაა. გვხვდება, მეტწილად, დასავლეთ საქართველოში (მდ. ცხენისწყლის ხეობა), ზ.დ. 1900-2050 მ ფარგლებში, სუსტი და საშუალო დაქანების დაჩრდილულ, ტენიან ფერდობებზე.

1.25. სოჭნარ-წიფლნარი ხარისშუბლას საფარით (*Abieteto-Fagetum seneciosum*).

ქვაჩაკიძე, 1980.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). კოდომინანტი - სოჭი (*Abies nordmanniana*). ერთეული სახით შერეულია მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). საბურვლის შეკრულობა 0,7.

იარუსი B: ერთეული სახით - მაჯალვერი (*Daphne mezereum*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), ძმერხლი (*Ruscus hypophyllum*), მაყვალი (*Rubus caucasicus*), მოცვი (*Vaccinium myrtillus*).

იარუსი C: დომინანტი - ხარისშუბლა (*Senecio rhombifolius*). შერეულია (მცირე რაოდენობით და ერთეული სახით) - *Aconitum orientale*, *Brachypodium silvaticum*, *Crepis abietina*, *Gentiana schistocalyx*, *Valeriana alliariaefolia*. პროექციული დაფარულობა 50-80%.

იშვიათი ასოციაციაა. აღვწერეთ ლექსუმში (1980), ცეკურის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ექსპოზიციის $27-30^{\circ}$ დაქანებულ ფერდობზე. ზ.დ. 1950 მ. ნიაღაგი ხირხატიანი, საშუალო სილრმის, ზომიერად დატენიანებული.

1.26. წიფლნარი მარცვლოვან-ნაირბალახოვანი საფარით (*Fagetum graminoso - mixtoherbosum*).

ქვაჩაკიძე, 1979.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე - მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*), რცხილა (*Carpinus caucasica*); ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობებზე - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,6 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - იელი (*Rhododendron luteum*), წერწა (*Lonicera caucasica*), მოცხარი (*Ribes biebersteinii*).

იარუსი C: დომინანტი - *Asperula odorata*, *Betonica grandiflora*, *Briza australis*, *Calamagrostis arundinacea*, *Geranium ibericum*, *Trifolium ambiguum*, *Tr. canescens*. პროექციული დაფარულობა 70-80%.

გავრცელებულია წიფლნარი ტყის მთელ არეალზე, ტყის სარტყლის ზემო ნაწილში და სუბალპებში (ზ.დ. 1700-2100 მ). გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, ყველა ექსპოზიციის ნაირგვარი დაქანების ფერდობებზე.

1.27. წიფლნარი მთის წივანას საფარით (*Fagetum festucosum*).

პოვარნიცინი, 1931; მახათაძე, 1964; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; დოლუხანოვი, 1989; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1988, 1992; ქვაჩაკიძე, 1995, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - იელი (*Rhododendron luteum*), მაყვალი (*Rubus caucasicus*); დასავლეთ საქართველოში ემატება - ჭყორი (*Ilex colchica*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*).

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Dentaria bulbifera* (არეალის ქვემო ნაწილში - *Dentaria quinquefolia*), *Orobus laxiflorus*, *Oxalis acetosella*, *Rubus hirtus*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 30-70 % ფარგლებში.

გავრცელებულია წიფლნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 650-2000 მ ფარგლებში. გვხვდება სამხრეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთის ექსპოზიციის საშუალო და დიდი დაჭანების (20-50°) ფერდობებზე, მომშრალო ნიადაგებზე. წარმოდგენილია რამდენიმე ვარიანტის (სუბასოციაციის) სახით.

1.28. წიფლნარი წყავიან-მთის წივანიანი (*Fagetum laurocerasoso-festucosum*).

დოლუხანოვი, 1989.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,8.

იარუსი B: დომინანტი - წყავი (*Laurocerasus officinalis*). დამახასიათებელი სახეობა - ჭყორი (*Ilex colchica*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), მოლოზანა (*Viburnum orientale*). პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 20-70% ფარგლებში.

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Athyrium filix femina*, *Dentaria bulbifera*, *Rubus hirtus*, *Sanicula europaea* და სხვ. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 10-40% ფარგლებში.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს კირქვიან მთებში (კვირას კირქვიანი მასივი), ზ.დ. 1700-1800 მ სიმაღლეზე. გვხვდება სამხრეთის და დასავლეთის ექსპოზიციის 28-30° დაჭანებულ ფერდობებზე.

1.29. წიფლნარი იელიან-მთის წივანიანი (*Fagetum ozaleoso-festucosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*) - 9. შერეულია წაბლი (*Castanea sativa*) - 1, რცხილა (*Carpinus caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,8.

იარუსი B: დომინანტი - იელი (*Rhododendron luteum* = *Azalea pontica*). მცირე რაოდენობით შერეულია ზღმარტლი (*Mespilus germanica*), მაყვალი (*Rubus caucasicus*), სურო (*Hedera pastuchovii*). პროექციული დაფარულობა 25-30%.

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). მცირე რაოდენობით შერეულია - *Asperula odorata*, *Campanula rapunculoides*, *Cardamine impatiens*, *Clinopodium umbrosum*, *Orobus aureus*, *Viola alba*. პროექციული დაფარულობა 20-25%.

აღვწერეთ პანკისის ხეობაში (ბაწარას ნაკრძალი). ზ.დ. 910 მ, სამხრეთის ექსპოზიციის 20-25° დაჭანებული ფერდობი, თხემური შემაღლება. ნიადაგი - თხელი, ზომიერად დატენიანებული (მომშრალობზე გარდამავალი).

1.30. წიფლნარი კავკასიურ მოცვიან-მთის წივანიანი (*Fagetum arctostaphyloso-festucosum*).

ქვაჩაკიძე, 1980.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,6.

იარუსი B: დომინანტი - კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*). დამახასიათებელი სახეობა - იელი (*Rhododendron luteum*), ტაბლაყურა (*Erythronium latifolia*), მოლოზანა (*Viburnum orientale*), მაყვალი (*Rubus caucasicus*). პროექციული დაფარულობა 35-50%.

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Dentaria bulbifera*, *Orobus aureus*. პროექციული დაფარულობა 25-40%.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, ზ.დ. 500-2000 მ ფარგლებში. გვხვდება სამხრეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთის ექსპოზიციის საშუალო და დიდი დაჭანების ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ და მომშრალო ნიადაგებზე.

1.31. წიფლნარი მაყვლიან-მთის წივანიანი (*Fagetum ruboso-festucosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), ცაცხვი (*Tilia caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,8.

იარუსი B: დომინანტი - მაყვალი (*Rubus caucasicus*). დამახასიათებელი სახეობა - იელი (*Rhododendron luteum*), თხილი (*Corylus avellana*), ღიღგულა (*Sambucus nigra*), სურო (*Hedera pastuchovii*). პროექციული დაფარულობა 20-40%.

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Cephalanthera rubra*, *Dryopteris filix mas*, *Polygonatum glaberrimum*, *Viola odorata*. პროექციული დაფარულობა 10-30%.

გავრცელებულია კახეთის კავკასიონზე, ზ.დ. 700-1500 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრონაკვეთების სახით სამხრეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთის ექსპოზიციის საშუალო და დიდი დაქანების ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ (იშვიათად მომშრალო) ნიადაგებზე.

1.32. წიფლნარი ჩადუნიან-მთის წივანიანი (*Fagetum dryopteridoso-festucosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). საბურვლის შეკრულობა 0,6.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა - მაყვალი (*Rubus caucasicus*), შინდანწლა (*Thelycrania australis*). პროექციული დაფარულობა 15-20%.

იარუსი C: დომინანტი - *Festuca montana*, *Dryopteris filix mas*. დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Athyrium filix femina*, *Euphorbia macroceras*, *Melica uniflora*. პროექციული დაფარულობა 60-75%.

გავრცელებულია კახეთის კავკასიონზე, ზ.დ. 1600-1700 მ სიმაღლეზე. გვხვდება სამხრეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიადაგებზე.

1.33. რცხილნარ-წიფლნარი მთის წივანას საფარით (*Carpineto-Fagetum festucosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991, 1992; ქვაჩაკიძე, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). კოდომინანტი - რცხილა (*Carpinus caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - შინდი (*Cornus mas*), წერწა (*Lonicera caucasica*), ზღმარტლი (*Mespilus germanica*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). დამახასიათებელი სახეობა - *Achillea biserrata*, *Asperula odorata*, *Brachypodium silvaticum*, *Campanula rapunculodes*, *Dryopteris filix mas*, *Viola odorata*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 20-70% ფარგლებში.

გავრცელებულია წიფლნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 700-1600 მ ფარგლებში. გვხვდება სამხრეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსპოზიციის საშუალო და დიდი დაქანების ფერდობებზე, მომშრალო ნიადაგებზე.

1.34. რცხილნარ-წიფლნარი სუროიან-მთის წივანიანი (*Carpineto-Fagetum hederoso-festucosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991, 1992; ქვაჩაკიძე, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). კოდომინანტი - რცხილა (*Carpinus caucasica*). დამახასიათებელი სახეობა - ქორაფი (*Acer laetum*), ღიაღია (*Acer velutinum*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,9.

იარუსი B: დომინანტი - სურო (*Hedera pastuchovii*). დამახასიათებელი სახეობა - ზღმარტლი (*Mespilus germanica*), მაყვალი (*Rubus caucasicus*). პროექციული დაფარულობა 20-25%.

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Dryopteris filix mas*, *Salvia glutinosa*, *Viola odorata*. პროექციული დაფარულობა 25-30%.

გავრცელებულია კახეთის კავკასიონზე. გვხვდება, მეტწილად, პროლუვიურ ტერასებზე, ზ.დ. 750 მ-მდე.

1.35. ნაძვნარ-წიფლნარი მთის წივანას საფარით (*Piceeto-Fagetum festucosum*).

გახათაძე, 1962; სუჭაშვილი, 1962; ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). კოდომინანტი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეულად) - თხილი (*Corylus avellana*), ასკილი (*Rosa canina*).

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Brachypodium silvaticum*, *Rubus hirtus*, *Solidago virgaurea*. პროექციული დაფარულობა 30-60%.

გავრცელებულია თრიალეთის ქედის კალთებზე, ზ.დ. 1250-1700 მ ფარგლებში. გვხვდება ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთის ექსპოზიციის საშუალო და დიდი დაქანების ფერდობებზე, მომშრალო ნიადაგებზე.

1.36. უთხოვრიან-წიფლნარი მაყვლიან-მთის წივანიანი (*Taxeto-Fagetum ruboso-festucosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*), I ქვეიარუსი. კოდომინანტი - უთხოვარი (*Taxus baccata*), II ქვეიარუსი. საბურვლის შეკრულობა 0,8.

იარუსი B: დომინანტი - მაყვალი (*Rubus caucasicus*). დამახასიათებელი სახეობა - კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), სურო (*Hedera pastuchovii*). პროექციული დაფარულობა 30-35%.

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). დამახასიათებელი სახეობა - *Aristolochia iberica*, *Dentaria bulbifera*, *Paris incompleta*, *Phyllitis scolopendrium*. პროექციული დაფარულობა 50-55%.

გავრცელებულია პანკისის ხეობაში (ბაწარის ნაკრძალი), ზ.დ. 1300-1500 მ ფარგლებში. გვხვდება იშვიათად, დიდი დაქანების ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, აგრეთვე თხემურ შემაღლებებზე (ამოზნექილ მეზორელიეფზე), ზომიერად დატენიანებულ, თხელ, ხირხატიან ნიადაგებზე.

1.37. წიფლნარი ბერსელას საფარით (*Fagetum brachypodiusum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). მცირე რაოდენობით შერეულია - რცხილა (*Carpinus caucasica*), ცაცხვი (*Tilia caucasica*), ქართული მუხა (*Quercus iberica*), ქორაფი (*Acer laetum*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,7.

იარუსი B: მცირე რაოდენობით და ერთეულად - შინდი (*Cornus mas*), თხილი (*Corylus avellana*), შინდანწლა (*Thelycrania australis*), წერწა (*Lonicera caucasica*), მაყვალი (*Rubus caucasicus*), ტაბლაყურა (*Lonicera latifolia*) და სხვ.

იარუსი C: დომინანტი - ბერსელა (*Brachypodium silvaticum*). მცირე რაოდენობით შერეულია - *Asperula odorata*, *Campanula rapunculoides*, *Festuca montana*, *Polygonatum glaberrinum*, *Sanicula europaea* და სხვ. პროექციული დაფარულობა 25-40%.

იშვიათი ასოციაცია. აღვწერეთ მდ. ილტოს ხეობაში, ზ.დ. 810 მ სიმაღლეზე. ფიტოცენოზი განვითარებულია სამხრეთ-დასავლეთი ექსპოზიციის 35° დაქანებულ ფერდობზე, თხელ, ქვიან, მომშრალო ნიადაგზე.

1.38. წიფლნარი თიგაქასრას საფარით (*Fagetum poosum*).

დოლუხანოვი, 1989; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), ქორაფი (*Acer laetum*), იფანი (*Fraxinus excelsior*), თამელი (*Sorbus torminalis*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეულად) - კუნელი (*Crataegus kyrtostyla*), წერწა (*Lonicera caucasica*), ზღმარტლი (*Mespilus germanica*), ასკილი (*Rosa canina*).

იარუსი C: დომინანტი - თივაქასრა (*Poa nemoralis*). დამახასიათებელი სახეობა - *Achillea biserrata*, *Campanula rapunculoides*, *Festuca montana*, *Lathyrus roseus*, *Solidago virgaurea*. პროცეციული დაფარულობა 35-70%.

გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, ზ.დ. 1100-1800 მ ფარგლებში. გვხვდება წილნარი ტყის არეალის ყველაზე მშრალ ადგილსამყოფელებში - კარგად განათებულ ფერდობებზე თხელი, მომშრალო ნიადაგებით. საკმაოდ იშვიათი ასოციაციაა.

1.39. რცხილნარ-წიფლნარი თივაქასრას საფარით (*Carpineto-Fagetum poosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). კოდომინანტი - რცხილა (*Carpinus caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,7.

იარუსი B: ერთეული სახით - კიდობანა (*Eryngium europaea*), წერწა (*Lonicera caucasica*), ჭიქა (*Lonicera caprifolium*) და სხვ.

იარუსი C: დომინანტი - თივაქასრა (*Poa nemoralis*). მცირე რაოდენობით შერეულია - *Achillea biserrata*, *Albovia tripartita*, *Alliaria petiolata*, *Asperula odorata*, *Lathyrus roseus* და სხვ. პროცეციული დაფარულობა 50-60%.

იშვიათი ასოციაცია. აღვწერეთ მდ. ალგეთის სათავეებში (ალგეთის ნაკრძალი), ზ.დ. 1530 მ სიმაღლეზე. ფიტოცენოზი განვითარებულია სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის 30-32° დაქანების ფერდობზე, მომშრალო ნიადაგზე.

1.40. წიფლნარი ისლურასა და თივაქარას საფარით (*Fagetum luzuloso-poosum*).

ქვაჩაკიძე, 1976, 1979.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). შერეულია ერთეული სახით - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), ცირცელი (*Sorbus caucasigena*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,7.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - იელი (*Rhododendron luteum*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), კიდობანა (*Eryngium europaea*).

იარუსი C: დომინანტი - თივაქასრა (*Poa nemoralis*), ისლურა (*Luzula silvatica*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Brachypodium silvaticum*, *Dryopteris filix-mas*, *Festuca montana*, *Stellaria holostea* და სხვ. პროცეციული დაფარულობა 50-70%.

იშვიათი ასოციაცია. გავრცელებულია ზემო სვანეთში, მდ. თხეიშის სათავეებში, ზ.დ. 2100 მ სიმაღლეზე. გვხვდება სამხრეთის ექსპოზიციის დიდი დაქანების (30°-ზე მეტი), თხელნიადაგიან ფერდობებზე.

1.41. წიფლნარი ისლურას საფარით (*Fagetum luzulosum*).

ქვაჩაკიძე, 1976, 1979; დოლუხანოვი, 1989.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეული სახით) - მელიქაური (*Daphne pontica*), იელი (*Rhododendron luteum*), ძახველი (*Viburnum opulus*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*).

იარუსი C: დომინანტი - ისლურა (*Luzula silvatica*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Dryopteris filix-mas*, *Paris incompleta*, *Prenanthes purpurea*, *Valeriana alliariaefolia*. პროცეციული დაფარულობა 40-80%.

გავრცელებულია სვანეთში, მდინარეების - ენგურისა და ცხენისწყლის სათავეებში, ზ.დ. 1700-2150 მ ფარგლებში. გვხვდება ყველა ექსპოზიციის 20-45° დაქანების ფერდობებზე, კარგად დატენიანებულ ნიადაგებზე. იშვიათი ასოციაციაა.

1.42. წიფლნარი იელიან-ისლურიანი (Fagetum azaleoso-luzulosum).

- ქვაჩაკიძე, 1976, 1979.
- იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - წიფელი (*Fagus orientalis*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,8.
გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში (მდ. ცხენისწყლის ხეობა), ზ.დ. 2000-2050 მ სიმაღლეზე. გვხვდება სამხრეთის ექსპოზიციის დიდი დაჭანების (30-40°) ფერდობებზე, მომშრალო ნიაღაგებზე. იშვიათია.

5.27. სოჭნარი გვიმრების საფარით (*Abietetum filicicosum*).

სორინი, 1951; სვანიძე, ბახსოლიანი, 1967.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - სოჭი (*Abies nordmanniana*). დამახასიათებელი სახეობა - წიფელი (*Fagus orientalis*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,7.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), დიდგულა (*Sambucus nigra*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - მდედრობითი გვიმრა (*Athyrium filix-femina*), ჩაღუნა (*Dryopteris filix-mas*), დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Geranium robertianum*, *Oxalis acetosella*, *Paris incompleta*. პროექციული დაფარულობა 60-90%.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში (მდ. ენგურის აუზი), ზ.დ. 1700 მ-მდე. გვხვდება საშუალო დაქანების (25° -მდე) ფერდობებზე, ტენიან ნიაღაგებზე.

5.28. წიფლნარ-სოჭნარი გვიმრების საფარით (*Fageto-Abietetum filicicosum*).

სვანიძე, ბახსოლიანი, 1967; ქვაჩაკიძე, 1980; ღოლუხანოვი, 1989.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - სოჭი (*Abies nordmanniana*). კოდომინანტი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,6 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), დიდგულა (*Sambucus nigra*).

იარუსი C: დომინანტი - მდედრობითი გვიმრა (*Athyrium filix femina*), ჩაღუნა (*Dryopteris filix mas*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Dentaria bulbifera*, *Dryopteris austriaca*, *Paris incompleta*, *Symphytum asperum*. პროექციული დაფარულობა 60-70%.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, ზ.დ. 1650-2100 მ ფარგლებში. გვხვდება, უმეტესად, ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, ტენიან აღგილსამყოფელებში.

5.29. სოჭნარი მაღალბალახიან-გვიმრიანი საფარით (*Abietetum altherboso-filicicosum*).

სსორინი, 1951; ქვაჩაკიძე, 1979, 1980.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - სოჭი (*Abies nordmanniana*). დამახასიათებელი სახეობა - ნაძვი (*Picea orientalis*), წიფელი (*Fagus orientalis*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). საბურვლის შეკრულობა 0,4-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), დიდგულა (*Sambucus nigra*), წერწა (*Lonicera caucasica*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - მდედრობითი გვიმრა (*Athyrium filix femina*), ჩაღუნა (*Dryopteris filix mas*), ხარისშუბლა (*Senecio rhombifolius*), ციცერბიტა (*Cicerbita petiolata*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Crepis abietina*, *Oxalis acetosella*, *Petasites albus*, *Polygonatum verticillatum*. პროექციული დაფარულობა 60-80%.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, ზ.დ. 1600-2050 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, ყველა ექსპოზიციის ფერდობებზე, სადაც უკავიათ რელიეფის ჩაზნექილი აღგილები, ჭარბტენიანი ნიაღაგებით.

5.30. სოჭნარი მაყვლიან-გვიმრიანი საფარით (*Abietetum ruboso-filicicosum*).

სსორინი, 1951.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - სოჭი (*Abies nordmanniana*). დამახასიათებელი სახეობა - ნაძვი (*Picea orientalis*), წიფელი (*Fagus orientalis*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,7 ფარგლებში..

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), დიდგულა (*Sambucus nigra*).

იარუსი C: დომინანტი - მაყვალი (*Rubus hirtus*), მდედრობითი გვიმრა (*Athyrium filix femina*), ჩაღუნა (*Dryopteris filix mas*).

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, ზ.დ. 1100-1700 მ ფარგლებში. გვხვდება ყველა ექსპოზიციის ფერდობებზე, ტენიან ნიაღაგებზე.

5.31. წიფლნარ-სოჭნარი მაყვლიან-გვიმრიანი საფარით (*Fageto-Abietetum ruboso-filicicosum*).

სვანიძე, ბახსოლიანი, 1967; ღოლუხანოვი, 1989.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - სოჭი (*Abies nordmanniana*). კოდომინანტი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - ნაძვი (*Picea orientalis*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,9.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - დიდგულა (*Sambucus nigra*).

იარუსი C: დომინანტი - მაყვალი (*Rubus hirtus*), მდედრობითი გვიმრა (*Athyrium filix femina*), ჩადუნა (*Dryopteris filix mas*). დამახასიათებელი სახეობა - *Circaeae lutetiana*, *Euphorbia macroceras*, *Impatiens noli tangere*, *Pachyphragma macrophyllum*, *Trachystemon orientale*. პროექციული დაფარულობა 40-70%. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, ზ.დ. 1100-1800 მ ფარგლებში. გვხვდება ტენიან აღგილსამყოფელებში.

5.32. წიფლნარ-სოჭნარი მდედრობითი გვიმრის საფარით (**Fageto-Abietetum athyriosum**). დოლუხანოვი, 1989.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - სოჭი (*Abies nordmanniana*). კოდომინანტი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - ცაცხვი (*Tilia caucasica*), მთის ბოყვი (*Acer pseudoplatanus*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,6 ფარგლებში.

იარუსი C: დომინანტი - მდედრობითი გვიმრა (*Athyrium filix femina*). დამახასიათებელი სახეობა - *Matteuccia struthiopteris*, *Petasites albus*. პროექციული დაფარულობა 60-90%. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, ზ.დ. 1300-1900 მ ფარგლებში. გვხვდება, უმეტესად, ჩადაბლებულ, ჭარბტენიან ადგილებში.

6. ნაძვნარები (**Piceeta; Picea orientalis**)

ნაძვნარი ტყეები გავრცელებულია, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში, დიდი და მცირე კავკასიონის კალთებზე. აღმოსავლეთ საქართველოში ნაძვნარები გვხვდება მდ. დიდი ლიახვის აუზში, ბორჯომის ხეობაში, თრიალეთის ქედის კალთებზე. წმინდა ნაძვნარების და ნაძვის სიჭარბით ტყეების საერთო ფართობი შეადგენს 138 589 ჰა-ს. ნაძვნარების ჰიდროგენული გავრცელების ქვემო საზღვარი ზ.დ. 900-1000 მ-ია, ხოლო ზემო საზღვარი ზ.დ. 2100 მ.

ნაძვნარი ტყეები ფიტოცენოლოგიურად (ტიპოლოგიურად) საკმაოდ მრავალფეროვანია.

6.1. ნაძვნარი შექრის ქვეტყით (**Piceetum rhododendrosum**).

ქვაჩაკიძე, 1979, 1995; დოლუხანოვი, 1989.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - წიფელი (*Fagus orientalis*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,8 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - შექრი (*Rhododendron ponticum*). დამახასიათებელი სახეობა - წყავი (*Laurocerasus officinalis*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), ტაბლაყურა (*Evonymus latifolia*), სურო (*Hedera colchica*). პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 30-80(90)% ფარგლებში.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - *Athyrium filix femina*, *Blechnum spicant*, *Dryopteris filix mas*, *Festuca montana*, *Lycopodium selago*.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში და ბორჯომის ხეობაში, ზ.დ. 1000-2000 მ ფარგლებში. გვხვდება ყველა ექსპოზიციის დიდი დაჭანების ($20-40^{\circ}$) ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ და მოტენიანო ნიაღაგებზე.

6.2. წიფლნარ-ნაძვნარი შექრის ქვეტყით (**Fageto-Piceetum rhododendrosum**)

ქვაჩაკიძე, 1995.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). კოდომინანტი - წიფელი (*Fagus orientalis*). საბურვლის შეკრულობა 0,4-0,8.

იარუსი B: დომინანტი - შექრი (*Rhododendron ponticum*). დამახასიათებელი სახეობა - ტაბლაყურა (*Evonymus latifolia*), სურო (*Hedera colchica*). პროექციული დაფარულობა 70-85%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - *Dryopteris filix mas*, *Festuca montana*.

გავრცელებულია ბორჯომის ხეობაში (ბანისხევი), ზ.დ. 1250-1400 მ ფარგლებში. გვხვდება ჩრდილოეთის ექსპოზიციის $30-40^{\circ}$ დაჭანებულ ფერდობებზე, მცირე სილრმის, ზომიერად დატენიანებულ და მოტენიანო ნიაღაგებზე.

6.3. ნაძვნარი იელის ჭვეტყით (*Piceetum azaleosum*).

ქვაჩაკიძე, 1979, 1980.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*), წიფელი (*Fagus orientalis*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,8 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - იელი (*Rhododendron luteum* = *Azalea pontica*). დამახასიათებელი სახეობა - კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*), მაყვალი (*Rubus caucasicus*). პროექციული დაფარულობა მერყეობს 20-90% ფარგლებში.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Calamagrostis arundinacea*, *Clinopodium vulgare*, *Festuca montana*. პროექციული დაფარულობა 1-2%-დან 25-30%-მდე.

გავრცელებულია სვანეთში (მდ. ენგურისა და ცხენისწყლის აუზებში), ძირითადად სუბალბურ სარტყელში (ზ.დ. 1800-2000 მ). გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით თხემებზე და სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, თხელ, მომშრალო ნიაღაგებზე. იშვიათია.

6.4. ნაძვნარი კავკასიური მოცვის ჭვეტყით (*Piceetum arctostaphylosum*).

ქვაჩაკიძე, 1980.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - წიფელი (*Fagus orientalis*). საბურვლის შეკრულობა 0,4-0,6.

იარუსი B: დომინანტი - კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*). დამახასიათებელი სახეობა - იელი (*Rhododendron luteum*), წერწა (*Lonicera caucasica*), კიდობანა (*Erythronium europaea*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*). პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 30-70% ფარგლებში.

გავრცელებულია ნაძვნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1000-2100 მ ფარგლებში. გვხვდება ყველა ექსპოზიციის (უფრო ფართოდ - ჩრდილოეთის ექსპოზიციის) საშუალო დაქანების ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიაღაგებზე.

6.5. ნაძვნარი მჟაველას საფარით (*Piceetum oxalidosum*).

მახათაძე, 1962; ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - სოჭი (*Abies nordmanniana*), წიფელი (*Fagus orientalis*), მტირალა არყი (*Betula pendula*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - წერწა (*Lonicera caucasica*), უცვეთელა (*Philadelphus caucasicus*), ხურტკმელი (*Grossularia reclinata*).

იარუსი C: დომინანტი - მჟაველა (*Oxalis acetosella*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Carex silvatica*, *Hieracium murorum*, *Mycelis muralis*, *Sanicula europaea*. პროექციული დაფარულობა 40-60%.

გავრცელებულია თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, ზ.დ. 1300-1700 მ ფარგლებში. გვხვდება ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ექსპოზიციის საშუალო დაქანების ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიაღაგებზე.

6.6. ნაძვნარი ქრისტესბეჭედას საფარით (*Piceetum saniculosum*).

მახათაძე, 1964; აბაშიძე, 1970; ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - სოჭი (*Abies nordmanniana*), წიფელი (*Fagus orientalis*), მტირალა არყი (*Betula pendula*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - კიდობანა (*Erythronium europaea*), წერწა (*Lonicera caucasica*).

იარუსი C: დომინანტი - ქრისტესბეჭედა (*Sanicula europaea*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Festuca montana*, *Ramischia secunda*, *Solidago virgaurea*.

გავრცელებულია მცირე კავკასიონზე (თრიალეთის და მესხეთის ქედები), ზ.დ. 1300-1700 მ ფარგლებში. გვხვდება ჩრდილოეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის ექსპოზიციის მცირე და საშუალო დაქანების ფერდობებზე, საშუალო სილრმის, ზომიერად დატენიანებულ ნიაღაგებზე.

6.7. სოჭნარ-ნაძვნარი ქრისტესბეჭედას საფარით (Abieteto-Piceetum saniculosum).

მანჯავიძე, 1987.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). კოდომინანტი - სოჭი (*Abies nordmanniana*). საბურვლის შეკრულობა 0,8-1,0.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - წყავი (*Laurocerasus officinalis*), შეერი (*Rhododendron ponticum*), ჰყორი (*Ilex colchica*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), სურო (*Hedera colchica*).

იარუსი C: დომინანტი - ქრისტესბეჭედა (*Sanicula europaea*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Carex silvatica*, *Dryopteris filix mas*, *Festuca montana*.

გავრცელებულია მცირე კავკასიონზე (აჭარა), ზ.დ. 1600-1800 მ ფარგლებში. გვხვდება საშუალო დაქანების ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიაღაგებზე.

6.8. ნაძვნარი მთის წივანას საფარით (Piceetum festucosum).

მახათაძე, 1962, 1964; დოლუხანოვი, 1964, 1989; ქვაჩაკიძე, განდიერი, 1970; ქვაჩაკიძე, 1995.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - სოჭი (*Abies nordmanniana*), ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*), წიფელი (*Fagus orientalis*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - ჰყორი (*Ilex colchica*), იელი (*Rhododendron luteum*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), ტაბლაყურა (*Erythronium latifolia*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Dryopteris filix mas*, *Oxalis acetosella*, *Sanicula europaea*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 30-80% ფარგლებში.

გავრცელებულია ნაძვნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 900-2100 მ ფარგლებში. გვხვდება, ძირითადად, სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე და თხემებზე, უფრო იშვიათად - სხვა ექსპოზიციის ფერდობებზე, ამონექილ მეზორელიეფზე, მომშრალო ნიაღაგებზე.

6.9. სოჭნარ-ნაძვნარი მთის წივანას საფარით (Abieteto-Piceetum festucosum).

მანჯავიძე, 1982.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). კოდომინანტი - სოჭი (*Abies nordmanniana*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა - შეერი (*Rhododendron ponticum*), ჰყორი (*Ilex colchica*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), სურო (*Hedera colchica*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Blechnum spicant*, *Calamintha grandiflora*, *Oxalis acetosella*, *Pirola rotundifolia*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 30-60% ფარგლებში.

გავრცელებულია აჭარაში, მთის ზემო და სუბალპურ სარტყელში (აღწერილია ზ.დ. 1950 მ სიმაღლეზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის ექსპოზიციის 30-35° დაქანებულ ფერდობზე).

6.10. წიფლნარ-ნაძვნარი მთის წივანას საფარით (Fageto-Piceetum festucosum).

მახათაძე, 1962.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). კოდომინანტი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*).

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). გავრცელებულია თრიალეთის ქედზე, ზ.დ. 1300-1700 მ ფარგლებში. გვხვდება ჩრდილოეთის ექსპოზიციის დიდი დაქანების ფერდობებზე.

6.11. ნაძვნარი ხავსების და მთის წივანას საფარით (Piceetum muscoso-festucosum).

დოლუხანოვი, 1964; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*), წიფელი (*Fagus orientalis*), მთხოვლავი ვერხვი (*Populus tremula*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,85.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - უცვეთელა (*Philadelphus caucasicus*), წერწა (*Lonicera caucasica*), ასკილი (*Rosa canina*), მაყვალი (*Rubus caucasicus*), უოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Campanula rapunculoides*, *Clinopodium vulgare*, *Mycelis muralis*, *Poa nemoralis*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 30-60% ფარგლებში.

იარუსი D: დომინანტი - *Dicranum scoparium*, *Hylocomium splendens*, *Pleurozium schreberi*. დამახასიათებელი სახეობა - *Mnium cuspidata*, *Rhytidadelphus triquetrus*.

გავრცელებულია თრიალეთის ქედზე, ზ.დ. 1200-1700 მ ფარგლებში. გვხვდება ყველა ექსპოზიციის ფერდობებზე, მომშრალო ნიადაგებზე.

6.12. ნაძვნარი თივაქასრას საფარით (*Piceetum poosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*), წიფელი (*Fagus orientalis*), მთხოვლავი ვერხვი (*Populus tremula*). საბურვლის შეკრულობა 0,6.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - ასკილი (*Rosa canina*), მაყვალი (*Rubus caucasicus*), უოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: დომინანტი - თივაქასრა (*Poa nemoralis*). დამახასიათებელი სახეობა - *Brachypodium silvaticum*, *Campanula alliariaefolia*, *Crapunculoides*, *Hieracium murorum*, *Myceis muralis*, *Sanicula europaea*. პროექციული დაფარულობა 45-70%.

გავრცელებულია თრიალეთის ქედზე, ზ.დ. 1400-1600 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების და ფრაგმენტების სახით, სამხრეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის 15-25° დაჭანებულ ფერდობებზე, საშუალო სიღრმის მომშრალო ნიადაგებზე.

6.13. ნაძვნარი ბრძამის საფარით (*Piceetum calamagrostidiosum*).

ქვაჩაკიძე, 1979, 1980.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*), წიფელი (*Fagus orientalis*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). საბურვლის შეკრულობა 0,4-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - იელი (*Rhododendron luteum*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*).

იარუსი C: დომინანტი - ბრძამი (*Calamagrostis arundinacea*). დამახასიათებელი სახეობა - *Brachypodium silvaticum*, *Fragaria vesca*, *Geranium ibericum*, *Poa nemoralis*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 30-70% ფარგლებში.

გავრცელებულია სვანეთში (მდ. ენგურისა და ცხენისწყლის აუზები), ზ.დ. 1750-2000 მ ფარგლებში. გვხვდება იშვიათად, სამხრეთის ექსპოზიციის დიდი დაჭანების ფერდობებზე და თხემებზე.

6.14. ნაძვნარი ისლის საფარით (*Piceetum caricosum*).

ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*), წიფელი (*Fagus orientalis*), მტირალა არყი (*Betula pendula*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,7.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - წერწა (*Lonicera caucasica*), მეჭეჭიანი ჭანჭყატი (*Evonymus verrucosa*), ამბურა (*Sorbus graeca*).

იარუსი C: დომინანტი - ბუშის ისლი (*Carex buschiorum*). დამახასიათებელი სახეობა - *Campanula alliariaefolia*, *Coronilla varia*, *Laser trilobum*, *Poa nemoralis*. პროექციული დაფარულობა 30-35%.

გავრცელებულია თრიალეთის მთაგრეხილზე (მდ. თეძამის და ალგეთის ხეობები), ზ.დ. 1100-1600 მ ფარგლებში. გვხვდება თითქმის ყველა ექსპოზიციის ფერდობებზე, მომცრო ნაკვეთების სახით. ნიაღაგი - მომშრალო.

6.15. ნაძვნარი მაღალბალახიან-გვიმრიანი საფარით (*Piceetum altherboso-filicicosum*).

ქვაჩაკიძე, 1979.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - წიფელი (*Fagus orientalis*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - იელი (*Rhododendron luteum*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - მდედრობითი გვიმრა (*Athyrium filix femina*), ჩაღუნა (*Dryopteris filix mas*), ხარისშუბლა (*Senecio rhombifolius*), ციცერბიტა (*Cicerbita petiolata*). დამახასიათებელი სახეობა - *Campanula lactiflora*, *Milium effusum*, *Senecio propinquus*. პროექციული დაფარულობა 60-70%.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, ზ.დ. 1750-2000 მ ფარგლებში. გვხვდება ყველა ექსპოზიციის ფერდობებზე, საშუალო სიღრმის ტენიან ნიაღაგებზე.

6.16. ნაძვნარი ხავსების საფარით (*Piceetum muscosum*).

მახათაძე, 1962, 1964; დოლუხანოვი, 1964, 1989; შარაშიძე, ქიქავა, 1970; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991; ქვაჩაკიძე, 1995.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*), წიფელი (*Fagus orientalis*), მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - წერწა (*Lonicera caucasica*), ტაბლაყურა (*Eryngium latifolia*), ასკილი (*Rosa canina*), ჟოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (მოზაიკურად) - *Campanula rapunculoides*, *Festuca montana*, *Mycelis muralis*, *Oxalis acetosella*, *Sanicula europaea*. პროექციული დაფარულობა 3-15%.

იარუსი D: დომინანტი - *Dicranum scoparium*, *Hylocomium spendens*, *Pleurozium schreberi*, *Rhytidadelphus triquetrus*. პროექციული დაფარულობა 50-70%.

გავრცელებულია ნაძვნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1000-2100 მ ფარგლებში. გვხვდება ყველა ექსპოზიციის (უფრო ხშირად - ჩრდილოეთის) საშუალო დაქანების ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიაღაგებზე.

7. ფიჭვნარები ძაგდასიური ფიჭვისაბან (*Pineta; Pinus sosnowskyi*)

ფიჭვნარი ტყეები გავრცელებულია, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოს დასავლურ რეგიონებში (მდ. დიდი ლიახვის აუზი, ბორჯომის ხეობა, მესხეთი, თრიალეთის ქედის დასავლური და ცენტრალური ნაწილი) და თუშეთში. საერთო ფართობი შეადგენს 122 050 ჰა-ს. ფიჭვნარების ჰიდრომეტრიული გავრცელების ქვემო საზღვარი ზ.დ. 700-800 მ-ია, ხოლო ზემო საზღვარი ზ.დ. 2400-2450 მ.

ფიჭვნარი ტყეები ფიტოცენოლოგიურად (ტიპოლოგიურად) მრავალფეროვანია.

7.1. ფიჭვნარი ღვიის ქვეტყით (*Pinetum juniperosum*).

თუმაჯანოვი, 1938; ქვაჩაკიძე, 1979; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - ღვია (*Juniperus depressa*). დამახასიათებელი სახეობა - წერწა (*Lonicera caucasica*), იელი (*Rhododendron luteum*), გრაკლა (*Spiraea hypericifolia*), ასკილი (*Rosa corymbifera*), მთის მოცხარი (*Ribes alpinum*), უოლო (*Rubus idaeus*). პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 10-15%-დან 70-80%-მდე.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Alchemilla sericata*, *Calamagrostis arundinacea*, *Carex buschiorum*, *Geranium ibericum*, *Poa nemoralis*, *Trifolium canescens*, *Trisetum rigidum*, *Veronica chanaedrys*. პროექციული დაფარულობა 5-15%.

გავრცელებულია მდ. ენგურისა და ლიახვის ხეობებში, ბორჯომის ხეობაში, ზ.დ. 1600-2400 მ ფარგლებში. გვხვდება სამხრეთის ექსპოზიციის მშრალ ფერდობებზე, აგრეთვე - ფერდობისძირა გავაკებათა კლდოვან-ლოდნარ ნაზვავებზე.

7.2. ფიჭვნარი იელის ქვეტყით (*Pinetum azaleosum*).

თუშავანვი, 1938; მახათაძე, 1964; მახათაძე, სვანიძე, 1968; ქვაჩაკიძე, 1979; დოლუხანვი, ქვაჩაკიძე, 1984.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). დამახასიათებელი სახეობა - ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,8 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - იელი (*Rhododendron luteum* = *Azalea pontica*). დამახასიათებელი სახეობა - გართხმული ღვია (*Juniperus depressa*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*), წერწა (*Lonicera caucasica*), უოლო (*Rubus idaeus*). პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 50-80% ფარგლებში.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეული სახით) - *Calamagrostis arundinacea*, *Festuca montana*, *Fragaria vesca*, *Gentiana schistocalyx*, *Poa nemoralis*, *Pirola media*, *P.rotundifolia*.

გავრცელებულია, ძირითადად, თუშეთში და ზემო სვანეთში, ზ.დ. 1700-2150 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, ყველა ექსპოზიციის ფერდობებზე, თემებზე, გავაკებებზე, ქვაყრილებზე, მომშრალო და ზომიერად დატენიანებულ ნიადაგებზე.

7.3. ფიჭვნარი თხილის ქვეტყით (*Pinetum corylosum*).

ბარნაბიშვილი, 1965; ქვაჩაკიძე, 1979; დოლუხანვი, ქვაჩაკიძე, 1984.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). დამახასიათებელი სახეობა - ქართული მუხა (*Quercus iberica*), რცხილა (*Carpinus caucasica*), მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*), თხის ტირიფი (*Salix caprea*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,7.

იარუსი B: დომინანტი - თხილი (*Corylus avellana*). დამახასიათებელი სახეობა - იელი (*Rhododendron luteum*), წერწა (*Lonicera caucasica*), ამბურა (*Sorbus graeca*). პროექციული დაფარულობა 30-50%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Brachypodium pinnatum*, *B.silvaticum*, *Clinopodium vulgare*, *Festuca montana*, *Fragaria vesca*, *Geranium ibericum*, *Lathyrus roseus*, *Pirola media*, *Poa nemoralis*, *Solidago virgaurea*. პროექციული დაფარულობა 20-30 (40)%.

გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში (მდ. არაგვისა და დიდი ლიახვის ხეობები, ბორჯომის ხეობა), ზ.დ. 1300-2100 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მომშრალო (მშრალ) ნიადაგებზე.

7.4. ფიჭვნარი ჯაგრცხილას ქვეტყით (*Pinetum carpinulosum*).

ქვაჩაკიძე, იაშაღაშვილი, 1991, 1996; ქვაჩაკიძე, 1995.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). დამახასიათებელი სახეობა - ქართული მუხა (*Quercus iberica*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,6 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - შინდი (*Cornus mas*), კუნელი (*Crataegus kytostyla*), წერწა (*Lonicera caucasica*), კვიდო (*Ligustrum vulgare*), მეჭეჭანი ჭანჭყატი (*Eryngium verrucosum*), თრიმლი (*Cotinus coggygria*), ჭიჭა (*Lonicera caprifolium*). პროექციული დაფარულობა 60-90%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეული სახით) - *Brachypodium silvaticum*, *Carex digitata*, *Clinopodium vulgare*, *Medicago polychloa*.

გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში (მდ. ალგეთის ხეობა, გომბორის ქედი, ბორჯომის ხეობა), ზ.დ. 800-1200 მ ფარგლებში. გვხვდება სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის საშუალო და დიდი დაქანების ფერდობებზე, მომშრალო და მურალ ნიაღაგებზე.

7.5. ფიჭვნარი ტყის ცოცხის ქვეტყით (*Pinetum cytisosum*).

მახათაძე, 1962, 1964; ბარნაბიშვილი, 1965; აბაშიძე, 1970.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). დამახასიათებელი სახეობა - ნაძვი (*Picea orientalis*), მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,8.

იარუსი B: დომინანტი - ტყის ცოცხი (*Cytisus caucasicus*). პროექციული დაფარულობა 30-60%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Brachypodium silvaticum*, *Calamagrostis arundinacea*, *Campanula rapunculoides*, *Coronilla coronata*, *Dactylis glomerata*, *Lapsana communis*, *Laser trilobum*. პროექციული დაფარულობა - 10-25%.

გავრცელებულია მცირე კავკასიონზე, ზ.დ. 800-1700 მ ფარგლებში. გვხვდება აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მცირე სილრმის, მომშრალო ნიაღაგებზე.

7.6. ფიჭვნარი ჩვეულებრივი მოცვის საფარით (*Pinetum myrtillorum*).

თუმაჯანოვი, 1938; მახათაძე, 1962; მახათაძე, სვანიძე, 1968; ქვაჩაკიძე, 1979.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,7.

იარუსი BC: დომინანტი - ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*). დამახასიათებელი სახეობა - მაჯალვერი (*Daphne mezereum*, *D. glomerata*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), წითელი მოცვი (*Vaccinium vitis idaea*), *Calamagrostis arundinacea*, *Deschampsia flexuosa*, *Oxalis acetosella*, *Pirola media*, *P. rotundifolia*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 50-90% ფარგლებში.

იარუსი D: დომინანტი - *Dicranum scoparium*, *Hylocomium splendens*, *Pleurozium schreberi*, *Rhytidadelphus triquetrus*. პროექციული დაფარულობა ზოგან (თუშეთი) აღწევს 80%-ს.

გავრცელებულია ფიჭვნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1750-2400 მ ფარგლებში. ფართო გავრცელებას აღწევს მხოლოდ თუშეთში.

7.7. ფიჭვნარი წითელი მოცვის საფარით (*Pinetum vacciniosum*).

თუმაჯანოვი, 1938; მახათაძე, სვანიძე, 1968; მახათაძე, ურუშაძე, 1972.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). დამახასიათებელი სახეობა - ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,8 ფარგლებში.

იარუსი BC: დომინანტი - წითელი მოცვი (*Vaccinium vitis idaea*). დამახასიათებელი სახეობა - იელი (*Rhododendron luteum*), მაჯალვერი (*Daphne glomerata*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*), *Rubus saxatilis*, *Calamagrostis arundinacea*, *Pirola media*. პროექციული დაფარულობა 70-90%.

იარუსი D: დამახასიათებელი სახეობა (ჯგუფურად) - *Dicranum scoparium*, *Hylocomium splendens*, *Pleurozium schreberi*.

გავრცელებულია თუშეთში (ფართოდ), ზემო სვანეთში (იშვიათად), ზ.დ. 1700-2400 მ ფარგლებში. გვხვდება, ძირითადად, ჩრდილო-აღმოსავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მცრავ სილრმის, ხილხატიან ნიაღაგებზე.

7.8. ფიჭვნარი მდელოს საფარით (*Pinetum pratosum*).

თუმაჯანოვი, 1938; მახათაძე, 1962, 1964; ბარნაბიშვილი, 1965; მახათაძე, სვანიძე, 1968; ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970; ქვაჩაკიძე, 1979, 1995.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). დამახასიათებელი სახეობა - ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,8 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - გართხმული ღვია (*Juniperus depressa*), თხილი (*Corylus avellana*), იელი (*Rhododendron luteum*), წერწა (*Lonicera caucasica*), ქოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Brachypodium silvaticum*, *Briza australis*, *Calamagrostis arundinacea*, *Dactylis glomerata*, *Festuca montana*, *Fragaria vesca*, *Gentiana schistocalyx*, *Helianthemum grandiflorum*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 50-80 (90)% ფარგლებში.

გავრცელებულია ფიჭვნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1200-2300 მ ფარგლებში. გვხვდება, უმთავრესად, აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიადაგებზე.

7.9. მუხნარ-ფიჭვნარი ნაირბალახოვანი საფარით (*Querceto-Pinetum mixtoherbosum*). ქვაჩაკიძე, 1995.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). კოდომინანტი - ქართული მუხა (*Quercus iberica*). დამახასიათებელი სახეობა - იფანი (*Fraxinus excelsior*), თამელი (*Sorbus torminalis*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,6.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*), თრომლი (*Cotinus coggygria*), ტყის კოცი (*Cytisus caucasicus*).

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Campanula alliariaefolia*, *Carex buschiorum*, *Coronilla varia*, *Dactylis glomerata*, *Laser trilobum*, *Onobrychis meschetica*. პროექციული დაფარულობა 30-45%.

გავრცელებულია მცირე კავკასიონზე (ბორჯომის ხეობა), ზ.დ. 750-1200 მ ფარგლებში. გვხვდება სამხრეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთის ექსპოზიციის დიდი დაჭანების (25-40°) ფერდობებზე და თხემებზე, მშრალ ნიადაგებზე.

7.10. ფიჭვნარი მთის წივანას საფარით (*Pinetum festucosum*). ქვაჩაკიძე, 1995.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). დამახასიათებელი სახეობა - ნაძვი (*Picea orientalis*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,6.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით) - იელი (*Rhododendron luteum*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). დამახასიათებელი სახეობა - *Fragaria vesca*, *Sanicula europaea*, *Solidago virgaurea*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 25-65% ფარგლებში.

გავრცელებულია მცირე კავკასიონზე (ბორჯომის ხეობა), ზ.დ. 1600-1820 მ ფარგლებში. გვხვდება, უმეტესად, აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსპოზიციის დიდი დაჭანების ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ და მომშრალ ნიადაგებზე.

7.11. ფიჭვნარი თივაქასრას საფარით (*Pinetum poosum*).

თუმაჯანოვი, 1938; მახათაძე, 1964; მახათაძე, სვანიძე, 1968; ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970; მახათაძე, ურუშაძე, 1972; ქვაჩაკიძე, 1979.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). დამახასიათებელი სახეობა - მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,7.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - გრძელწიწვიანი ღვია (*Juniperus oblonga*), გართხმული ღვია (*Juniperus depressa*), ამბურა (*Sorbus graeca*).

იარუსი C: დომინანტი - თივაქასრა (*Poa nemoralis*). დამახასიათებელი სახეობა - *Brachypodium silvaticum*, *Briza australis*, *Calamagrostis arundinacea*, *Campanula hohenackeri*, *C.allia-*

riaefolia, *Clinopodium vulgare*, *Veronica peduncularis*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 5-20 (30)% ფარგლებში.

გავრცელებულია ფიჭვნარი ტყის მთელ არეალზე, მომცრო ნაკვეთების სახით, ზ.დ. 1200-2200 მ ფარგლებში. გვხვდება სამხრეთის ექსპოზიციის დიდი დაქანების ფერდობებზე, მშრალ, მცირე სილრმის და განუვითარებელ ნიადაგებზე.

7.12. ნაძვნარ-ფიჭვნარი თივაქასრას საფარით (*Piceeto-Pinetum poosum*).

ქვაჩაკიძე, 1995.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). კოდომინანტი - ნაძვი (*Picea orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - ქართული მუხა (*Quercus iberica*), თამელი (*Sorbus torminalis*). საბურვლის შეკრულობა 0,4-0,6.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეული სახით) - ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*), ზღმარტლი (*Mespilus germanica*), წერწა (*Lonicera caucasica*), ჯიქა (*Lonicera caprifolium*), კუნელი (*Crataegus kytostyla*).

იარუსი C: დომინანტი - თივაქასრა (*Poa nemoralis*). დამახასიათებელი სახეობა - *Campanula rapunculoides*, *Carex digitata*, *Lathyrus roseus*, *Lithospermum purpureo-coeruleum*. პროექციული დაფარულობა 10-20%.

გავრცელებულია მცირე კავკასიონზე (ბორჯომის ხეობა), ზ.დ. 800-1500 მ ფარგლებში. გვხვდება სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მომშრალო და მშრალ ნიადაგებზე.

7.13. ფიჭვნარი ბრძამის საფარით (*Pinetum calamagrostidiosum*).

მახათაძე, 1962; მახათაძე, სვანიძე, 1968; მახათაძე, ურუშაძე, 1972; ქვაჩაკიძე, 1979, 1995; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). დამახასიათებელი სახეობა - ნაძვი (*Picea orientalis*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), მტირალა არყი (*Betula pendula*), მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - იელი (*Rhododendron luteum*), წერწა (*Lonicera caucasica*), ასკილი (*Rosa canina*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*), ჟოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: დომინანტი - ბრძამი (*Calamagrostis arundinacea*). დამახასიათებელი სახეობა - *Achillea biserrata*, *Brachypodium pinnatum*, *Clinopodium vulgare*, *Fragaria vesca*, *Galium cruciatum*, *Geranium ibericum*, *Hieracium murorum*, *Pirola rotundifolia*, *Poa nemoralis*, *Trifolium canescens*, *Veronica peduncularis*. პროექციული დაფარულობა 30-60%.

გავრცელებულია ფიჭვნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1650-2300 მ ფარგლებში. გვხვდება სამხრეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მომშრალო და ზომიერად დატენიანებულ ნიადაგებზე.

7.14. ფიჭვნარი ბერსელას საფარით (*Pinetum brachypodiosum*).

მახათაძე, 1964; მახათაძე, სვანიძე, 1968; აბაშიძე, 1970; ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970; ქვაჩაკიძე, 1979, 1980, 1995; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). დამახასიათებელი სახეობა - ნაძვი (*Picea orientalis*), მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,8 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - გრძელწიწვა ღვია (*Juniperus oblonga*), წერწა (*Lonicera caucasica*), თხილი (*Corylus avellana*), ამზურა (*Sorbus graeca*), თხის ტირიფი (*Salix caprea*).

იარუსი C: დომინანტი - ბერსელა (*Brachypodium silvaticum*; *B.pinnatum*). დამახასიათებელი სახეობა - *Achillea biserrata*, *Calamagrostis arundinacea*, *Campanula rapunculoides*, *Festuca montana*, *Fragaria vesca*, *Geranium ibericum*, *Hieracium murorum*, *Laser trilobum*, *Poa*

nemoralis, *Solidago virgaurea*, *Trifolium canescens*, *Veronica peduncularis*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 25-70% ფარგლებში.

გავრცელებულია დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე და მცირე კავკასიონზე, ზ.დ. 1200-2300 მ ფარგლებში. გვხვდება ყველა ექსპოზიციის 20-40° დაჭანებულ ფერდობებზე, მომშრალ და ზომიერად დატენიანებულ ნიაღაგებზე.

7.15. ფიჭვნარი ისლის საფარით (*Pinetum caricosum*).

შარაშიძე, 1970; ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). დამახასიათებელი სახეობა - ნაძვი (*Picea orientalis*), ქართული მუხა (*Quercus iberica*), მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,6.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - წითელი ღვია (*Juniperus rufescens*), ჯაგრცებილა (*Carpinus orientalis*), ჩიტაკომშა (*Cotoneaster racemiflora*).

იარუსი C: დომინანტი - ბუშის ისლი (*Carex buschiorum*). დამახასიათებელი სახეობა - *Brachypodium pinnatum*, *B.silvaticum*, *Campanula alliariaefolia*, *Laser trilobum*, *Poa nemoralis*, *Trisetum rigidum*.

გავრცელებულია თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, ზ.დ. 700-1700 მ ფარგლებში. გვხვდება სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მშრალ ნიაღაგებზე.

7.16. ფიჭვნარი ხავსების საფარით (*Pinetum muscosum*).

თუმაჯანოვი, 1938; ქვაჩაკიძე, იაშაღაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). დამახასიათებელი სახეობა - ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*). საბურვლის შეკრულობა 0,4-0,6.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - წერწა (*Lonicera caucasica*), მთის მოცხარი (*Ribes alpinum*), ამპურა (*Sorbus graeca*), უზანი (*Viburnum lantana*).

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Calamagrostis arundinacea*, *Campanula rapunculoides*, *Festuca montana*, *Mycelis muralis*, *Solidago virgaurea*. პროექციული დაფარულობა 3-10%.

იარუსი D: დომინანტი - *Dicranum scoparium*, *Hylocomium spencens*, *Pleurozium schreberi*, *Rhytidadelphus triquetrus*. პროექციული დაფარულობა 70-90%.

გავრცელებულია თუშეთში, მცირე კავკასიონზე (ალგეთის ნაკრძალი), ზ.დ. 1500-2300 მ ფარგლებში. გვხვდება, მეტწილად, ჩრდილოეთის და დასავლეთის ექსპოზიციის საშუალო და დიდი დაჭანების (15-40°) ფერდობებზე, მომშრალ და ზომიერად დატენიანებულ, საშუალო და მცირე სილრმის, ძლიერ ხირხატიან ნიაღაგებზე.

7.17. ფიჭვნარი კლდიანის = ფიჭვნარი მშრალი (*Pinetum rupestris* = *Pinetum siccum*).

მახათაძე, სვანიძე, 1968; აბაშიძე, 1970; ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970; ქვაჩაკიძე, 1979; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). დამახასიათებელი სახეობა - მტირალა არყი (*Betula pendula*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით - ჯგუფურად და ერთეული სახით) - ღვიები (*Juniperus oblonga*, *J.depressa*), იელი (*Rhododendron luteum*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*), ჟოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით - ჯგუფურად და ერთეული სახით) - *Calamagrostis arundinacea*, *Campanula alliariaefolia*, *Carex buschiorum*, *Coronilla coronata*, *Poa nemoralis*, *Sedum oppositifolium*, *Sempervivum caucasicum*, *Trisetum rigidum*.

გავრცელებულია დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე და მცირე კავკასიონზე, ზ.დ. 1000-2400 მ ფარგლებში. გვხვდება დიდი დაჭანების ფერდობებზე, მცირე სილრმის და ჩამორეცხილ ნიაღაგებზე. განვითარებულია, აგრეთვე, ქვაყრილებზე (ლოკალურად).

8. მუხნარები მაღალმთის მუხისაგან (*Quercetum*; *Quercus macranthera*)

მუხნარები, შექმნილი მაღალმთის ანუ აღმოსავლეთის მუხისაგან (*Quercus macranthera*), მიეკუთვნება სუბალპურ ტყეებს, თუმცა ზოგან (განსაკუთრებით თრიალეთის ქედზე) სუბალპური სარტყლის ქვემოთაც (%.დ. 1500-1400 მ-მდე) ვრცელდება. მაღალმთის მუხნარების არეალის უმეტესი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. დასავლეთ საქართველოში მაღალმთის მუხნარები შედარებით ფართო გავრცელებას მხოლოდ რაჭაში და ზემო სვანეთში აღწევს. ტყეების საერთო ფართობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ მოგვეპოვება, მიახლოებით კი იგი ამჟამად არ უნდა აღემატებოდეს 10-12 ათას ჰა-ს.

მიუხედავად მცირე ფართობისა, მაღალმთის მუხნარები ფიტოცენოლოგიურად (ტიპოლოგიურად) საკმაოდ მრავალფეროვანია.

8.1. მუხნარი თხილის ქვეტყით (*Quercetum corylosum*).

ქვაჩაკიძე, 1979; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.
იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,6.
იარუსი B: დომინანტი - თხილი (*Corylus avellana*). დამახასიათებელი სახეობა - კუნელი (*Crataegus kytostyla*), ასკილი (*Rosa canina*). პროექციული დაფარულობა 55-65%.
იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Achillea biserrata*, *Campanula rapunculoides*, *Clinopodium vulgare*, *Laser trilobum*, *Poa nemoralis*, *Primula macrocalyx*. პროექციული დაფარულობა 15-25%.

გავრცელებულია ცენტრალურ კავკასიონზე (რაჭა, ზემო სვანეთი, მდ. დიდი ლიახვის ხეობა) და აღმოსავლეთ თრიალეთზე, %.დ. 1800-2050 მ ფარგლებში (თრიალეთზე ქვეითდება %.დ. 1600 მ-მდე). გვხვდება მომცრო ნაკვეთების და ფრაგმენტების სახით, სამხრეთის ექსპოზიციის მეტწილად დიდი დაქანების ($25-40^{\circ}$) ფერდობებზე, მომშრალო (მშრალ) ნიადაგებზე. გვხვდება კირქვიანებზეც (რაჭა, სოფ. შემერის მიდამოები).

8.2. მუხნარი მარცვლოვან-ნაირბალახოვანი საფარით (*Quercetum grami-noso-mixtoherbosum*).

დოლუხანოვი, 1955; ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970; ქვაჩაკიძე, 1979, 1999; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1992.
იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*). დამახასიათებელი სახეობა - წიფელი (*Fagus orientalis*), რცხილა (*Carpinus caucasica*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,6 ფარგლებში.
იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - გრძელწიწვა ღვია (*Juniperus oblonga*), წერწა (*Lonicera caucasica*), ასკილი (*Rosa canina*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).
იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Alchemilla caucasica*, *Astrantia maxima*, *Betonica grandiflora*, *Brachypodium silvaticum*, *Briza australis*, *Calamagrostis arundinacea*, *Dactylis glomerata*, *Geranium ibicum*, *Poa longifolia*, *P.nemoralis*, *Primula macrocalyx*. პროექციული დაფარულობა 70-95%.

გავრცელებულია მაღალმთის მუხნარი ტყის მთელ არეალზე, %.დ. 1800-2200 მ ფარგლებში (თრიალეთის ქედზე ჩამოდის %.დ. 1400 მ-მდე). გვხვდება სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის $25-40^{\circ}$ დაქანების ფერდობებზე, მომშრალო (მშრალ) ნიადაგებზე.

8.3. მუხნარი ნაირბალახოვანი საფარით (*Quercetum mixtoherbosum*).

დოლუხანოვი, 1955; ბახსოლიანი, 1972; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), წიფელი (*Fagus orientalis*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,7.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - წერწა (*Lonicera caucasica*), ასკილი (*Rosa canina*).

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Betonica grandiflora*, *Campanula latifolia*, *Chaerophyllum maculatum*, *Geranium silvaticum*, *Geum urbanum*, *Polygonatum verticillatum*, *Silene wallichiana*. პროექციული დაფარულობა 60-80 (90)%.

გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, უფრო იშვიათად - დასავლეთ საქართველოშიც, ზ.დ. 1700-2000 მ ფარგლებში (აღმოსავლეთ თრიალეთზე ზ.დ. 1500 მ-მდე ჩამოდის). გვხვდება შედარებით იშვიათად, სამხრეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის $15-30^{\circ}$ დაჭანებულ ფერდობებზე, მომშრალო და ზომიერად დატენიანებულ ნიადაგებზე.

8.4. მუხნარი მაღალბალახოვანი საფარით (*Quercetum altherbosum*).

დოლუხანოვი, 1955; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*). დამახასიათებელი სახეობა - წიფელი (*Fagus orientalis*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,6 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - წერწა (*Lonicera caucasica*), ასკილი (*Rosa canina*), მაყვალი *Rubus caucasicus*.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Campanula latifolia*, *Cephalaria gigantea*, *Chaerophyllum maculatum*, *Ligusticum alatum*, *Senecio propinquus*, *S.rhombifolius*. პროექციული დაფარულობა 70-90 (100)%.

გავრცელებულია მუხნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1800-2100 მ ფარგლებში. გვხვდება ტენიან ადგილებში - ღრმა ხეობებში.

8.5. მუხნარი ბრძამის საფარით (*Quercetum calamagrostidosum*).

დოლუხანოვი, 1955; გახათაძე, ურფუშაძე, 1972; ბახსოლიანი, 1972; ქვაჩაკიძე, 1979, 1999; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), წიფელი (*Fagus orientalis*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - წერწა (*Lonicera caucasica*), ასკილი (*Rosa canina*, *R.corymbifera*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - ბრძამი (*Calamagrostis arundinacea*). დამახასიათებელი სახეობა - *Achillea biserrata*, *Betonica grandiflora*, *Brachypodium silvaticum*, *Briza australis*, *Dactylis glomerata*, *Festuca montana*, *Geranium ibericum*, *Poa nemoralis*, *Primula macrocalyx*. პროექციული დაფარულობა 60-85%.

გავრცელებულია მუხნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1800-2100 მ ფარგლებში (აღმოსავლეთ თრიალეთზე ჩამოდის ზ.დ. 1600 მ-მდე). გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, $25-40^{\circ}$ დაჭანებულ სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მომშრალო ნიადაგებზე.

8.6. მუხნარი ბერსელას საფარით (*Quercetum brachypodiosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,6.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - თხილი (*Corylus avellana*), წერწა (*Lonicera caucasica*), ასკილი (*Rosa canina*).

იარუსი C: დომინანტი - ბერსელა (*Brachypodium silvaticum*). დამახასიათებელი სახეობა - *Campanula rapunculoides*, *Carex buschiorum*, *Laser trilobum*, *Poa nemoralis*, *Trifolium alpestre*. პროექციული დაფარულობა 70-80%.

გავრცელებულია აღმოსავლეთ თრიალეთზე (ალგეთის ნაკრძალი), ზ.დ. 1570-1700 მ ფარგლებში. გვხვდება იშვიათად, მომცრო ნაკვეთების სახით, სამხრეთის ექსპოზიციის 25-30° დაქანებულ ფერდობებზე, ამოზნექილ მეზორელიეფზე. ნიადაგი მომშრალო, ხშირად კირით გამდიდრებული (კირქვიან ქანებზე განვითარებული).

8.7. მუხნარი თივაქასრას საფარით (*Quercetum poosum*).

დოლუხანოვი, 1955; ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970; ქვაჩაკიძე, 1979, 1980; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - თხილი (*Corylus avellana*), ასკილი (*Rosa canina*, *R.corymbifera*).

იარუსი C: დომინანტი - თივაქასრა (*Poa nemoralis*). დამახასიათებელი სახეობა - *Achillea biserrata*, *Betonica grandiflora*, *Clinopodium vulgare*, *Geranium ibericum*, *Primula macrocalyx*. პროექციული დაფარულობა 40-70%.

გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, ზ.დ. 1750-2000 მ ფარგლებში. გვხვდება შედარებით იშვიათად, მომცრო ნაკვეთების სახით, სამხრეთის ექსპოზიციის 25-40° დაქანებულ ფერდობებზე, მშრალ ნიადაგებზე.

8.8. მუხნარი ისლის საფარით (*Quercetum caricosum*).

დოლუხანოვი, 1955; მახათაძე, 1962; შარაშიძე, 1970; ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), იფანი (*Fraxinus excelsior*). საბურვლის შეკრულობა 0,4-0,6.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - გრძელწიწვა ღვია (*Juniperus oblonga*), ასკილი (*Rosa canina*, *R.corymbifera*).

იარუსი C: დომინანტი - ბუშის ისლი (*Carex buschiorum*). დამახასიათებელი სახეობა - *Campanula alliariaefolia*, *Carex cuspidata*, *Festuca sulcata*, *Phleum phleoides*, *Poa nemoralis*, *Teucrium orientale*, *Thymus tiflensis*. პროექციული დაფარულობა 40-60%.

გავრცელებულია ცენტრალურ და აღმოსავლეთ თრიალეთზე, ზ.დ. 1500-2000 მ ფარგლებში. გვხვდება სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მცირე სიღრმის, მშრალ ნიადაგებზე.

9. ნეკერჩლიანები (*Aceretum; Acer traутветтери*)

მაღალმთის ნეკერჩხლის (*Acer traутветтери*) მიერ შექმნილი სუბალპური ტყე გავრცელებულია საქართველოს ყველა მაღალმთიან ტყიან რეგიონში, განსაკუთრებით ფართოდ - დასავლეთ საქართველოში. ნეკერჩხლიანის გავრცელების ქვემო საზღვარი ზ.დ. 1700-1800 მ-ზე გადის, ზემო საზღვარი - ზ.დ. 2300-2350 მ-ზე. ნეკერჩხლიანები გვხვდება, უმეტესად, ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, იშვიათად (უფრო დასავლეთ საქართველოში) - სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზეც. ხშირად გვხვდება ე.წ. „პარკული“ ნეკერჩხლიანები - დაბალი ხარისხით კალთაშეკრული, ხეთა სფეროსებრი ვარჯებით. დასავლეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ნეკერჩხლის ტანბრეცილი ტყეები.

ნეკერჩხლიანი ტყეები ფიტოცენოლოგიურად (ტიპოლოგიურად) საკმაოდ მრავალფეროვანია.

9.1. ნეკერჩხლიანი თხილის ქვეტყით (*Aceretum corylosum*).

ქვაჩაკიძე, 1979.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer traутветтери*). შერეულია მცირე რაოდენობით - წიფელი (*Fagus orientalis*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), მტი-რალა არყი (*Betula pendula*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,6 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - თხილი (*Corylus avellana*). შერეულია მცირე რაოდენობით და ერთეული სახით - წერწა (*Lonicera caucasica*), მაჯალვერი (*Daphne mezereum*), კლდის მოცხარი (*Ribes biebersteinii*). პროექციული დაფარულობა 80-90%.

იარუსი C: *Asperula odorata* (ალინიშნება შედარებით მრავლად), *Aconitum orientale*, *Dryopteris filix mas*, *Fragaria vesca*, *Myosotis sparsiflora*, *Paris incompleta*, *Senecio rhombifolius* და სხვ. პროექციული დაფარულობა არათანაბარია, მერყეობს 5%-დან (თხილის მჭიდრო რაყის ქვეშ) - 50%-მდე (თხილის გამეჩხერებული რაყის ქვეშ).

საკმაოდ იშვიათი ასოციაციაა. აღვწერეთ ზემო სვანეთში, მდ. ნაკრას ხეობაში. განვითარებულია ზ.დ. 1900-2050 მ ფარგლებში, სამხრეთის ექსპოზიციის $15-20^{\circ}$ დაჭანებულ ფერდობებზე. ნიაღაგი ქვიანია, ზომიერად დატენიანებული.

9.2. ნეკერჩხლიანი თხილიან-ნაირბალახიანი (*Aceretum coryloso-mixtoherbosum*).

ქვაჩაკიძე, 1980.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer traутветтери*). შერეულია მცირე რაოდენობით და ერთეული სახით - ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), მტირალა არყი (*Betula pendula*), თელადუმა (*Ulmus elliptica*). საბურვლის შეკრულობა არათანაბარია, ცვალებადობს 0,2-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - თხილი (*Corylus avellana*). პროექციული დაფარულობა არათანაბარია, მერყეობს 10%-დან (0,4-0,7 შეკრულობის საბურველქვეშ) 30%-მდე (0,2-0,3 შეკრულობის საბურველქვეშ).

იარუსი C: არათანაბრადაა განვითარებული: 0,6-0,7 შეკრულობის ტყის საბურველქვეშ წამყვანი სახეობებია - *Asperula odorata*, *Euphorbia macroceras*, *Festuca montana*, *Impatiens noli tangere*, *Myosotis alpestris*, *Sedum oppositifolium*, - პროექციული დაფარულობა 30-50%; 0,2-0,4 შეკრულობის ტყის საბურველქვეშ წამყვანი სახეობებია - *Anthoxanthum odoratum*, *Leontodon hispidus*, *Rhinanthus subulatus*, *Trifolium ambiguum*, - პროექციული დაფარულობა 80-90%.

იშვიათი ასოციაციაა. აღვწერეთ ქვემო სვანეთში, მდ. აშხაშურას (მდ. ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი) სათავეებში, ზ.დ. 1850 მ სიმაღლეზე. ფიტოცენოზი განვითარებულია სამხრეთ-აღმოსავლეთის ექსპოზიციის $15-18^{\circ}$ დაჭანებულ ფერდობზე, საშუალო სიღრმის, ზომიერად დატენიანებულ ნიაღაგზე.

9.3. ნეკერჩხლიანი მაღალბალახოვანი საფარით (*Aceretum altherbosum*).

ქვაჩაკიძე, 1979, 1995.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). დამახასიათებელი სახეობა - წიფელი (*Fagus orientalis*), ლიტვინოვის და მტირალა არყები (*Betula litwinowii*, *B. pendula*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), დასავლეთ საქართველოში ემატება სოჭი (*Abies nordmanniana*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - იელი (*Rhododendron luteum*), წერწა (*Lonicera caucasica*), კლდის მოცხარი (*Ribes biebersteinii*), მაჯალვერი (*Daphne mezereum*), მაყვალი (*Rubus caucasicus*), უოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: წამყვანი დამახასიათებელი სახეობა - *Aconitum nasutum*, *A. orientale*, *Asperula odorata*, *Athyrium filix femina*, *Chaerophyllum maculatum*, *Campanula latifolia*, *Dryopteris filix mas*, *Senecio rhombifolius*, *Symphytum asperum*, *Valeriana alliariaefolia*. პროექციული დაფარულობა 85-95 (100)%.

გავრცელებულია ნეკერჩხლიანი ტყის მთელ არეალზე (უფრო ფართოდ დასავლეთ საქართველოში), ზ.დ. 1800-2200 მ ფარგლებში. გვხვდება ყველა ექსპოზიციის (სამოსავლეთ საქართველოში უმთავრესად ჩრდილოეთის ექსპოზიციის) სუსტი და საშუალო დაქანების ფერდობებზე, ტენიან ნიადაგებზე.

9.4. წიფლნარ-ნეკერჩხლიანი მაღალბალახოვანი საფარით (**Fageto-Aceretum altherbosum**).

ქვაჩაკიძე, 1979, 1980, 1995.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). კოდომინანტი - წიფელი (*Fagus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), თხის ტირიფი (*Salix caprea*), დასავლეთ საქართველოში ემატება ნაძვი (*Picea orientalis*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - წერწა (*Lonicera caucasica*), მაყვალი (*Rubus caucasicus*), უოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Athyrium filix femina*, *Milium effusum*, *Pyrethrum macrophyllum*, *Senecio propinquus*, *S. rhombifolius*, *Valeriana alliariaefolia*. პროექციული დაფარულობა 65-80%.

გავრცელებულია, უმეტესად, დასავლეთ საქართველოში, ზ.დ. 1800-2050 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, ყველა ექსპოზიციის სუსტი და საშუალო დაქანების ფერდობებზე, ტენიან ნიადაგებზე.

9.5. ნეკერჩხლიანი მაღალბალახოვან-გვიმრიანი საფარით (**Aceretum altherbosum-filicosum**).

ქვაჩაკიძე, 1979; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). დამახასიათებელი სახეობა - სოჭი (*Abies nordmanniana*) - დასავლეთ საქართველოში, წიფელი (*Fagus orientalis*), თხის ტირიფი (*Salix caprea*). საბურვლის შეკრულობა 0,4-0,6.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - კლდის მოცხარი (*Ribes biebersteinii*), მაყვალი (*Rubus caucasicus*), უოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: წამყვანი დამახასიათებელი სახეობა - *Athyrium filix femina*, *Dryopteris filix mas*, *Campanula lactiflora*, *Chaerophyllum maculatum*, *Cicerbita petiolata*, *Impatiens noli tangere*, *Senecio rhombifolius*. პროექციული დაფარულობა 70-80%.

გავრცელებულია ნეკერჩხლიანი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1800-2100 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, ვიწრო ხეობებში, ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, ტენიან და ჭარბტენიან ნიადაგებზე.

9.6. ნეკერჩხლიანი ხარისშუბლას საფარით (**Aceretum seneciosum**).

ქვაჩაკიძე, 1979, 1980, 1999; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). დამახასიათებელი სახეობა - სოჭი (*Abies nordmanniana*) - დასავლეთ საქართველოში, წიფელი (*Fagus orientalis*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasica*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - მაჯალვერი (*Daphne mezereum*), მაყვალი (*Rubus caucasicus*), ჟოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: დომინანტი - ხარისშუბლა (*Senecio rhombifolius*). დამახასიათებელი სახეობა - *Aconitum nasutum*, *Athyrium filix femina*, *Campanula lactiflora*, *Chaerophyllum maculatum*, *Dryopteris filix mas*, *Euphorbia macroceras*, *Milium effusum*, *Symphytum asperum*. პროექციული დაფარულობა 80-95%.

გავრცელებულია ნეკერჩხლიანი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1900-2300 მ ფარგლებში. გვხვდება ჩრდილოეთის, დასავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთის ექსპოზიციის სუსტი და საშუალო დაქანების ფერდობებზე, ტენიან ნიადაგებზე.

9.7. არყნარ-ნეკერჩხლიანი ხარისშუბლასა და გვიმრების საფარით (*Betuleto-Aceretum senecioso-filicicosum*).

ქვაჩაკიძე, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). კოდომინანტი - ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*). შერეულია მცირე რაოდენობით - წიფელი (*Fagus orientalis*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,5.

იარუსი B: მცირე რაოდენობით და ერთეულად - იელი (*Rhododendron luteum*), მაჯალვერი (*Daphne mezereum*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - ხარისშუბლა (*Senecio rhombifolius*). წამყვანი შერეული სახეობა - *Alchemilla caucasica*, *Asperula odorata*, *Athyrium filix femina*, *Dryopteris filix mas*, *Matteuccia struthiopteris*. პროექციული დაფარულობა 90-95%.

აღვწერეთ ლაგოდების ნაკრძალში, ზ.დ. 1950 მ სიმაღლეზე. ფიტოცენოზი განვითარებულია ჩრდილოეთის ექსპოზიციის 30-32° დაქანებულ ფერდობზე, მოტენიანო ნიადაგზე.

9.8. ნეკერჩხლიანი შავი გვიმრას საფარით (*Aceretum matteucciosum*).

ქვაჩაკიძე, 1980, 1999; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). დამახასიათებელი სახეობა - კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasica*), საბურვლის შეკრულობა 0,3-0,6 ფარგლებში ცვალებადობს.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - კლდის მოცხარი (*Ribes biebersteinii*), მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი C: დომინანტი - შავი გვიმრა (*Matteuccia struthiopteris*). დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata*, *Athyrium filix femina*, *Gentiana schistocalyx*, *Geum urbanum*, *Impatiens noli tangere*, *Senecio rhombifolius*. პროექციული დაფარულობა 70-90(100)%.

საქმაოდ იშვიათი ასოციაციაა. გავრცელებულია კახეთის კავკასიონზე და მდ. ცხენისწყლის ხეობაში, ზ.დ. 1800-1900 მ სიმაღლეზე. გვხვდება სუსტი და საშუალო დაქანების ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, ტენიან და ჭარბტენიან ნიადაგებზე, მდინარისპირა შლეიფებზე.

10. არყნარები (*Betuleta; Betula litwinowii*)

არყნარი ტყეები შექმნილია, ძირითადად, ლიტვინოვის არყის (*Betula litwinowii*) მიერ. არყის სხვა სახეობებიდან (მტირალა არყი - *Betula pendula*, რადეს ანუ შავი არყი - *B. raddeana*, მედვედევის არყი - *B. medwedewii*, მეგრული არყი - *B. megrellica*) ტყის ფიტოცენოზებს ქმნის

მხოლოდ მედვედევის არყი, ლოკალურად, შეზღუდულ ტერიტორიაზე (აჭარა-გურიის მთებში). არყნარების (ძირითადად ლიტვინოვის არყის ტყის) საქართო ფართობი აღწევს 73 379 ჰა-ს.

არყნარი ტიპური სუბალპური ტყეა. იგი გავრცელებულია საქართველოს ყველა ტყიან რეგიონში, ზ.დ. 1800-1900 მ ზემოთ. ტყის გავრცელების ზემო საზღვარი ზოგან (მდ. ლიახვის და ენგურის სათავეები, თუშეთი) ზ.დ. 2550-2600 მ აღწევს.

არყნარები ფიტოცენოლოგიურად (ტიპოლოგიურად) მრავალფეროვანია, რაც ამ ტყეების ფართო არეალზე ბუნებრივი პირობების მრავალგვარობითაა განპირობებული.

10.1. არყნარი დეკას ქვეტყით (*Betuletum rhododendrosum*).

ლესკოვი, 1932; ბუში, 1936; თუმაჭანოვი, 1938; მახათაძე, 1965; მახათაძე, ურუშაძე, 1972; ქვაჩაკიძე, 1979, 1980, 1999; ბერეჯიანი, 1982; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი(*Betula litwinowii*). დამახასიათებელი სახეობა - კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), თხის ტირიფი (*Salix caprea*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - დეკა (*Rhododendron caucasicum*). დამახასიათებელი სახეობა - კლდის მოცხარი (*Ribes biebersteinii*), მაჭალვერი (*Daphne mezereum*), ტირიფი (*Salix caucasica*, *S.kazbekensis*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*). დასავლეთ საქართველოში მათ ემატება - კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), გოგოსა (*Sorbus subfusca*). პროექციული დაფარულობა 70-90%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეულად) - *Athyrium filix-femina*, *Gentiana schistocalyx*, *Gymnocarpium dryopteris*, *Milium effusum*, *M.schmidtianum*, *Oxalis acetosella*, *Polygonatum verticillatum*, *Pirola rotundifolia*, *Senecio rhombifolius*.

იარუსი D: დამახასიათებელი სახეობა (ლაქობრივად) - *Dicranum scoparium*, *Hylocomium splendens*, *Mnium rugicum*, *Pleurozium schreberi*, *Rhytidadelphus triquetrus*.

გავრცელებულია არყნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1800-2600 მ ფარგლებში. გვხვდება ზოგან (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) მოზრდილი ნაკვეთების სახით, ძირითადად ჩრდილოეთის, აგრეთვე აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსპოზიციის საშუალო და დიდი დაქანების (20-45°) ფერდობებზე, ტორფიან-ჰუმუსიან, მოტენიან და ტენიან ნიაღაგებზე.

10.2. ცირცელიან-არყნარი დეკას ქვეტყით (*Sorbeto-Betuletum rhododendrosum*).

ქვაჩაკიძე, 1979, 1980, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი(*Betula litwinowii*). კოდომინანტი - კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*). დამახასიათებელი სახეობა - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), თხის ტირიფი (*Salix caprea*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - დეკა (*Rhododendron caucasicum*), დამახასიათებელი სახეობა - მაჭალვერი (*Daphne mezereum*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*). პროექციული დაფარულობა 70-90(100)%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეული სახით) - *Athyrium filix-femina*, *Gymnocarpium dryopteris*, *Oxalis acetosella*, *Milium effusum*, *M.schmidtianum*.

იარუსი D: დამახასიათებელი სახეობა (ლაქობრივად) - *Dicranum scoparium*, *Mnium rugicum*, *Rhytidadelphus triquetrus*.

გავრცელებულია არყნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1800-2600 მ ფარგლებში. გვხვდება შედარებით იშვიათად, მომცრო ნაკვეთების სახით, ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსპოზიციის 20-45° დაქანებულ ფერდობებზე, ტორფიან-ჰუმუსიან, ტენიან ნიაღაგებზე.

10.3. არყნარი იელის ქვეტყით (*Betuletum azaleosum*).

ბუში, 1936; თუმაჭანოვი, 1938; ქვაჩაკიძე, 1979; ბერეჯიანი, 1982; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი(*Betula litwinowii*). დამახასიათებელი სახეობა - წიფელი (*Fagus orientalis*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - იელი (*Rhododendron luteum = Azalea pontica*). დამახასიათებელი სახეობა - წერწა (*Lonicera caucasica*), თხილი (*Corylus avellana*), მაჯალვერი (*Daphne mezereum*), კლდის მოცხარი (*Ribes biebersteinii*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*). პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 40-70% ფარგლებში.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Asperula odorata, Calamagrostis arundinacea, Dryopteris filix mas, Fragaria vesca, Lapsana grandiflora*. პროექციული დაფარულობა 10-25%.

გავრცელებულია არყნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1800-2200 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, უმეტესად აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობების ამოზნექილ ადგილებზე (მეზორელიფფზე) და თხემებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიაღაგებზე.

10.4. არყნარი თხილის ქვეტყით (*Betuletum colyosum*).

ქვაჩაკიძე, 1979; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი(*Betula litwinowii*). დამახასიათებელი სახეობა - წიფელი (*Fagus orientalis*), თხის ტირიფი (*Salix caprea*). საბურვლის შეკრულობა 0,4-0,6.

იარუსი B: დომინანტი - თხილი (*Corylus avellana*). დამახასიათებელი სახეობა - წერწა (*Lonicera caucasica*), ტირიფი (*Salix caucasica*). პროექციული დაფარულობა 40-70%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Fragaria vesca, Gentiana schistocalyx, Geranium sylvaticum, Primula macrocalyx*. პროექციული დაფარულობა 20-50%.

გავრცელებულია დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ზ.დ. 1800-2100 მ ფარგლებში. გვხვდება აღმოსავლეთის და დასავლეთის (იშვიათად სამხრეთის) ექსპოზიციის 20-40° დაქანებულ ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ (მომშრალო) ნიაღაგებზე.

10.5. არყნარი კავკასიური მოცვის ქვეტყით (*Betuletum arctostaphylosum*).

ქვაჩაკიძე, 1979.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი(*Betula litwinowii*). შერეულია მცირე რაოდენობით და ერთეული სახით) - კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), წიფელი (*Fagus orientalis*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,7.

იარუსი B: დომინანტი - კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*). შერეულია მცირე რაოდენობით - თხილი (*Corylus avellana*), წყავი (*Laurocerasus officinalis*), ცხრატყავა (*Lonicera xylosteum*), დეკა (*Rhododendron caucasicum*), თხის ტირიფი (*Salix caprea*), გოგოსა (*Sorbus subfusca*), მაყვალი (*Rubus caucasicus*), ჟოლო (*Rubus idaeus*). პროექციული დაფარულობა 60-65%.

იარუსი C: წამყვანი სახეობები - *Asperula odorata, Calamagrostis arundinacea, Dryopteris filix mas, Gentiana schistocalyx, Gymnocarpium dryopteris, Milium effusum, Oxalis acetosella*.

იშვიათი ასოციაცია. აღვწერეთ ზემო სვანეთში, მდ. ნენსკრას სათავეებში, ზ.დ. 2100 მ სიმაღლეზე. ფიტოცენოზი განვითარებულია სამხრეთის ექსპოზიციის 30-35° დაქანებულ ფერდობზე, ქვიან, 30-40 სმ სიღრმის ნიაღაგზე.

10.6. არყნარი ტირიფის ქვეტყით (*Betuletum salicosum*).

ქვაჩაკიძე, 1979; ბერეჟიანი, 1982.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი(*Betula litwinowii*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,2-0,6 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - ყაზბეგის ტირიფი (*Salix kazbekensis*). დამახასიათებელი სახეობა - დეკა (*Rhododendron caucasicum*), თხის ტირიფი (*Salix caprea*), ტირიფი (*Salix caucasica*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*). პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 20-70% ფარგლებში.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეულად) - *Campanula alliariaefolia, C.rapunculoides, Chamaenerium angustifolium, Dryas caucasica, Festuca supina, Leontodon hispidus*.

გავრცელებულია დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ზ.დ. 2200-2500 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, დიდი დაქანების ფერდობების სპეციფიკურ სუბსტრატზე - ქვიან ნაყარებზე და მორენულ ნაფენებზე.

10.7. არყნარი ნაირბალახოვანი საფარით (*Betuletum mixtoherbosum*).

ბუში, 1936; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი(*Betula litwinowii*). დამახასიათებელი სახეობა - კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), თხის ტირიფი (*Salix caprea*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,7.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეულად) - დეკა (*Rhododendron caucasicum*), იელი (*Rhododendron luteum*), ყაზბეგის ტირიფი (*Salix kazbekensis*), კლდის მოცხარი (*Ribes biebersteinii*), მაჯალვერი (*Daphne glomerata*).

იარუსი C: წამყვანი დამახასიათებელი სახეობა - *Anemone fasciculata, Astrantia maxima, Betonica grandiflora, Cephalaria gigantea, Geranium silvaticum, Ranunculus transcaucasicus, Trollius patulus*. პროექციული დაფარულობა 80-90%.

გავრცელებულია დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ზ.დ. 1800-2200 მ ფარგლებში (ზოგან უფრო მაღლაც - არყნარ-დეკიანის ნაკვეთებს შორის). გვხვდება ჩრდილოეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, ტენიან ნიაღაგებზე.

10.8. არყნარი დეკიან-ნაირბალახიანი (*Betuletum rhododendroso-mixtoherbosum*).

ქვაჩაკიძე, 1979.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი(*Betula litwinowii*). დამახასიათებელი სახეობა - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), თხის ტირიფი (*Salix caprea*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,8 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - დეკა (*Rhododendron caucasicum*). ჭგუფური განლაგება ან მეჩხერი საფარი.

იარუსი C: წამყვანი დამახასიათებელი სახეობა - *Aconitum nasutum, Anemone fasciculata, Aquilegia caucasica, Calamagrostis arundinacea, Gentiana schistocalyx, Geranium silvaticum, Polygonum carneum, Trollius patulus*. პროექციული დაფარულობა 70-90%.

გავრცელებულია არყნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 2000-2500 მ ფარგლებში. გვხვდება, ძირითადად, აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსპოზიციის $15-45^{\circ}$ დაქანებულ ფერდობებზე, ტენიან ნიაღაგებზე.

10.9. არყნარი მოცვიან-ნაირბალახიანი (*Betuletum myrtilloso-mixtoherbosum*).

ქვაჩაკიძე, 1979; ბერეჟიანი, 1982.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი(*Betula litwinowii*). დამახასიათებელი სახეობა - კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), თხის ტირიფი (*Salix caprea*). საბურვლის შეკრულობა 0,4-0,6.

იარუსი B: დომინანტი - ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*). დამახასიათებელი სახეობა - კლდის მოცხარი (*Ribes biebersteinii*), მაჯალვერი (*Daphne mezereum, D.glorerata*). პროექციული დაფარულობა 30-50%.

იარუსი C: წამყვანი დამახასიათებელი სახეობა - *Anemone fasciculata, Calamagrostis arundinacea, Gentiana schistocalyx, Geranium silvaticum, Trollius patulus*. პროექციული დაფარულობა 40-70%.

გავრცელებულია დიდ კავკასიონზე, ზ.დ. 2000-2400 მ ფარგლებში. გვხვდება ჩრდილოეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მოტენიანო და ტენიან ნიაღაგებზე.

10.10. არყნარი მარცვლოვან-ნაირბალახოვანი საფარით (*Betuletum graminos-mixtoherbosum*).

ბუში, 1936; თუმაჯანოვი, 1938; მახათაძე, 1965; მახათაძე, ურუშაძე, 1972; ქვაჩაკიძე, 1979, 1980; ბერეჟიანი, 1982; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი (*Betula litwinowii*). დამახასიათებელი სახეობა - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), თხის ტირიფი (*Salix caprea*); ზ.დ. 2200 მ-მდე მათ ემატება - წიფელი (*Fagus orientalis*), მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - იელი (*Rhododendron luteum*), მაჭალვერი (*Daphne mezereum*), ყაზბეგის ტირიფი (*Salix kazbekensis*), უოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: წამყვანი დამახასიათებელი სახეობა - *Alchemilla caucasica*, *Anemone fasciculata*, *Anthoxanthum odoratum*, *Betonica grandiflora*, *Calamagrostis arundinacea*, *Cephalaria gigantea*, *Dactylis glomerata*, *Geranium ibericum*, *Poa longifolia*, *Primula macrocalyx*, *Trifolium canescens*. პროექციული დაფარულობა 70-90%.

გავრცელებულია არყნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1900-2000 მ-დან 2500 მ-მდე. გვხვდება, უმეტესად, აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის სხვადასხვა ხარისხით დაქანებულ ფერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ და მომშრალო ნიაღაგებზე.

10.11. არყნარი მაღალბალახოვანი საფარით (*Betuletum altherbosum*).

ლესკოვი, 1932; ბუში, 1936; მახათაძე, 1965; მახათაძე, ურუშაძე, 1972; ქვაჩაკიძე, 1979, 1980, 1999; ბერეჟიანი, 1982; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი (*Betula litwinowii*). დამახასიათებელი სახეობა - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), წიფელი (*Fagus orientalis*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), თხის ტირიფი (*Salix caprea*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეული სახით) - კლდის მოცხარი (*Ribes biebersteinii*), მაჭალვერი (*Daphne mezereum*), მაყვალი (*Rubus caucasicus*), უოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: წამყვანი დამახასიათებელი სახეობა - *Aconitum nasutum*, *Asperula odorata*, *Campanula lactiflora*, *C.latifolia*, *Cephalaria gigantea*, *Chaerophyllum maculatum*, *Heracleum ponticum*, *H.sosnowskyi*, *Ligusticum alatum*, *Myosotis sparsiflora*, *Pyrethrum macrophyllum*, *Senecio rhombifolius*, *Symphytum asperum*, *Valeriana tiliaefolia*. პროექციული დაფარულობა 70-90%.

გავრცელებულია არყნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1700-1800 მ-დან 2150-2300(2500) მ-მდე. გვხვდება, ძირითადად, მომცრო ნაკვეთების სახით, ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთის ექსპოზიციის მცირე დაქანების ფერდობებზე, გავაკებებზე, რელიეფის უარყოფით ფორმებზე, მოტენიანო და ტენიან ნიაღაგებზე.

10.12. არყნარი ხარისშუბლას საფარით (*Betuletum seneciosum*).

ქვაჩაკიძე, 1979, 1999; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი (*Betula litwinowii*). დამახასიათებელი სახეობა - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), თხის ტირიფი (*Salix caprea*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - მაჭალვერი (*Daphne mezereum*), კლდის მოცხარი (*Ribes biebersteinii*), უოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: დომინანტი - ხარისშუბლა (*Senecio rhombifolius*). დამახასიათებელი სახეობა - *Aconitum nasutum*, *Asperula odorata*, *Chaerophyllum maculatum*, *Euphorbia macroceras*, *Gentiana schistocalyx*, *Milium effusum*. პროექციული დაფარულობა 70-90%.

გავრცელებულია არყნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1700-1800 მ-დან 2200 (2500) მ-მდე. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, გავაკებებზე და ჩადაბლებულ ოდგილებში (რელიეფის უარ-

ყოფით ფორმებზე), მცირე დაქანების ფერდობებზე, ხშირად საქონლის ნადგომ ადგილებზე (ე.წ. „ნაბინაგარი“).

10.13. არყნარი ბრძამის საფარით (*Betuletum calamagrostidosum*).

თუმაგანოვი, 1938; ქვაჩაკიძე, ჯანდიერი, 1970; ქვაჩაკიძე, 1979, 1980, 1999; ბერეჟიანი, 1982; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი(*Betula litwinowii*). დამახასიათებელი სახეობა - კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), თხის ტირიფი (*Salix caprea*). საბურვლის შეკრულობა 0,4-0,7.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეულად) - მაჯალვერი (*Daphne glomerata*), ასკილი (*Rosa canina*), ყაზბეგის ტირიფი (*Salix kazbekensis*), ჩვეულებრივი მოცვი (*Vaccinium myrtillus*), უოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: დომინანტი - ბრძამი (*Calamagrostis arundinacea*). დამახასიათებელი სახეობა - *Achillea biserrata*, *Alchemilla caucasica*, *Anthoxanthum odoratum*, *Astrantia maxima*, *Betonica grandiflora*, *Centaurea fischeri*, *C.salicifolia*, *Dactylis glomerata*, *Festuca pratensis*, *Geranium ibericum*, *Primula macrocalyx*, *Pyrethrum roseum*. პროექციული დაფარულობა 75-90%.

გავრცელებულია არყნარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 1800-2400 (2600) მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, სამხრეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთის ექსპოზიციის 25-45° დაქანებულ ფერდობებზე, მომშრალო (ზომიერად დატენიანებულ) ნიადაგებზე.

10.14. არყნარი ჭრელი წივანას საფარით (*Betuletum varia-festucosum*).

ბუში, 1936; მახათაძე, ურუშაძე, 1972; ქვაჩაკიძე, 1979.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი(*Betula litwinowii*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - ცხრატყავა (*Lonicera xylosteum*), წერწა (*Lonicera caucasica*), ყაზბეგის ტირიფი (*Salix kazbekensis*).

იარუსი C: დომინანტი - ჭრელი წივანა (*Festuca varia*). დამახასიათებელი სახეობა - *Agrostis planifolia*, *Alchemilla caucasica*, *Anthoxanthum odoratum*, *Bromus variegatus*, *Calamagrostis arundinacea*, *Festuca ovina*, *Poa alpina*, *Trifolium canescens*. პროექციული დაფარულობა 65-85%.

გავრცელებულია დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ზ.დ. 2200 მ ზემოთ. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, სამხრეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსპოზიციის დიდი დაქანების (30°-ზე მეტი) ფერდობებზე, თხელ, ხირხატიან, მომშრალო ნიადაგებზე.

10.15. არყნარი თხილიან-თივაქასრიანი (*Betuletum coryloso-poosum*).

ქვაჩაკიძე, 1980.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი(*Betula litwinowii*). შერეულია მცირე რაოდენობით და ერთეული სახით - მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*), წიფელი (*Fagus orientalis*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,6 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - თხილი (*Corylus avellana*), ჯგუფურად. შერეულია ერთეული სახით - იილი (*Rhododendron luteum*), ასკილი (*Rosa canina*). პროექციული დაფარულობა 40-55%.

იარუსი C: დომინანტი - თივაქასრა (*Poa nemoralis*). შერეულია მცირე რაოდენობით - *Achillea biserrata*, *Betonica grandiflora*, *Clinopodium vulgare*, *Fragaria vesca*, *Geranium ibericum*, *Primula macrocalyx*. პროექციული დაფარულობა 20-25%.

იშვიათი ასოციაციაა. აღვწერეთ მდ. ცხენისწყლის აუზში (აშხაშურას სათავეები), ზ.დ. 2050 მ სიმაღლეზე. ფიტოცენოზი განვითარებულია სამხრეთის ექსპოზიციის 35-40° დაქანებულ ფერდობზე, მომშრალო ნიადაგზე.

10.16. არყნარი მაღალბალახიან-ჩაღუნიანი (*Betuletum altherboso-dryopteridosum*).

ბერეჟიანი, 1982; ქვაჩაკიძე, იაშაღაშვილი, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - არყი (*Betula litwinowii*). დამახასიათებელი სახეობა - მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), კავკასიური ცირცელი (*Sorbus caucasigena*), თხის ტირიფი (*Salix caprea*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეულად) - დეკა (*Rhododendron caucasicum*), კლდის მოცხარი (*Ribes biebersteinii*), ასკილი (*Rosa canina*), ჟოლო (*Rubus idaeus*).

იარუსი C: დომინანტი - ჩაღუნა (*Dryopteris filix mas*). წამყვანი დამახასიათებელი სახეობა - *Aconitum nasutum*, *Chaerophyllum maculatum*, *Ligusticum alatum*, *Milium effusum*, *Senecio rhombifolius*. პროექციული დაფარულობა 70-90%.

გავრცელებულია არყანარი ტყის მთელ არეალზე, ზ.დ. 2000-2300 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, ჩრდილოეთის ექსპოზიციის მცირე დაჭანების ფერდობებზე და გავაკებებზე, ტენიან ნიაღაგებზე.

11. ვერხვნარები მთრთოლავი ვერხვისაბან (*Populeta; Populus tremula*)

ვერხვნარის დროებითი (ნაწარმოები, ძირითადად ხანძრის შემდგომი) დაჯგუფებები საქართველოს თითქმის ყველა ტყიან რეგიონში გვხვდება. მათი ფართობი შეზღუდულია - გვხვდება მომცრო ნაკვეთების და ფრაგმენტების სახით.

ტყის სარტყელში (ზ.დ. 1750-1800 მ-მდე) გავრცელებული ვერხვნარების შესახებ სრულყოფილი ფიტოცენოლოგიური ინფორმაცია არ მოგვეპოვება. საკუთრივ მოძიებულ საველე მასალებზე დაყრდნობით კი შესაძლებელია მხოლოდ სუბალპური ვერხვნარი ფიტოცენოზების (ასოციაციების) დახასიათება.

11.1. ვერხვნარი თხილის ქვეტყით (*Populetum corylosum*).

ქვაჩაკიძე, 1979.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*). დამახასიათებელი სახეობა - მტირალა არყი (*Betula pendula*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). საბურვლის შეკრულობა 0,4-0,6.

იარუსი B: დომინანტი - თხილი (*Corylus avellana*). დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - წერწა (*Lonicera caucasica*). პროექციული დაფარულობა 70-80%.

იარუსი C: წამყვანი დამახასიათებელი სახეობა - *Aconitum orientale*, *Asperula caucasica*, *A.odorata*, *Brunnera macrophylla*, *Polygonatum verticillatum*, *Rubus hirtus*. პროექციული დაფარულობა 20-30%.

გავრცელებულია დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ზ.დ. 1700-2100 მ ფარგლებში. გვხვდება ნახანძრალზე, მომცრო ნაკვეთების სახით, სამხრეთის ექსპოზიციის დიდი დაჭანების ფერდობებზე.

11.2. ვერხვნარი იელის ქვეტყით (*Populetum azaleosum*).

ქვაჩაკიძე, 1979; დოლუხანოვი, ქვაჩაკიძე, 1984.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), თხის ტირიფი (*Salix caprea*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დომინანტი - იელი (*Rhododendron luteum = Azalea pontica*). პროექციული დაფარულობა 60-95%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით და ერთეულად) - *Calamagrostis arundinacea*, *Festuca montana*, *Geranium silvaticum*. გავრცელებულია დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ზ.დ. 1700-2000 მ ფარგლებში. გვხვდება ნახანძრალზე, იშვიათად,

უმეტესად თხემურ შემაღლებებზე და გავაკებებზე (იშვიათად სხვადასხვა დაქანების ფერდობზე).

11.3. ვერხნარი მარცვლოვან-ნაირბალახოვანი საფარით (**Populetum graminosomixtoherbosum**).

ქვაჩაკიძე, 1979.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,6.

იარუსი C: წამყვანი დამახსიათებელი სახეობა - *Alchemilla caucasica*, *Geranium silvaticum*, *Phleum alpinum*, *Poa longifolia*, *Trifolium ambiguum*, *T. canescens*. პროექციული დაფარულობა 80-90%.

გავრცელებულია დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე (მდ. არაგვის ხეობა), ზ.დ. 1800-2000 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების და ფრაგმენტების სახით სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე და გავაკებებზე.

12. იფნარები (**Fraxineta; Fraxinus excelsior**)

იფნი ანუ კოპიტის (*Fraxinus excelsior*) სრული დომინირებით ან სიჭარბით ტყეები გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, ან აქა-იქ ფრაგმენტულად, საჭართველოს თითქმის ყველა ტყიან რეგიონში. ტყეების ჰიფსომეტრიული გავრცელება ზ.დ. 700-800 მ-დან 1200-1400 მ-მდე ფარგლებშია. საერთო ფართობი შეადგენს 9630 ჰა-ს. იფნარის ფიტოცენოზები მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, რადგან საერთო ფართობი დიდი არაა, ამასთან მათი ადგილსამყოფელები მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია.

12.1. იფნარი შინდის ქვეტყით (**Fraxinetum cornosum**).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, ლაჩაშვილი, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - იფნი (*Fraxinus excelsior*). შერეულია ერთეული სახით - მინდვრის ნეკერჩალი (*Acer campestre*), ქართული მუხა (*Quercus iberica*), ქორაფი (*Acer laetum*), თელამუში (*Ulmus glabra*). საბურვლის შეკრულობა 0,6.

იარუსი B: დომინანტი - შინდი (*Cornus mas*). შერეულია ერთეული სახით - ტაბლაყურა (*Eonymus latifolia*). პროექციული დაფარულობა 45-50%.

იარუსი C: წამყვანი სახეობა - *Melica nutans*, *Serratula quinquefolia*, *Stachys silvatica*, *Stellaria holostea* და სხვ. პროექციული დაფარულობა 5-7%.

აღვწერეთ საგურამოს ქედის სამხრეთ კალთაზე (საგურამოს ნაკრძალი), ზ.დ. 920 მ სიმაღლეზე. ფიტოცენოზი განვითარებულია ხევთაშორისი სერის ჩრდილოეთის ექსპოზიციის მეზორელიეფზე, დაქანება 25-27°. ნიაღაგი საშუალო სიღრმის, ხირხატიანი, ზომიერად დატენიანებული.

12.2. იფნარი ჯაგრცხილას ქვეტყით (**Fraxinetum carpinulosum**).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, ლაჩაშვილი, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - იფნი (*Fraxinus excelsior*). შერეულია მცირე რაოდენობით - ქართული მუხა (*Quercus iberica*). საბურვლის შეკრულობა 0,7.

იარუსი B: დომინანტი - ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*). შერეულია ერთეული სახით - შინდი (*Cornus mas*), მეჭვეჭიანი ჭანჭყატი (*Eonymus verrucosa*), კვიდო (*Ligustrum vulgare*). პროექციული დაფარულობა 50-60%.

იარუსი C: წამყვანი სახეობა - *Melica nutans* (პროექციული დაფარულობა 25-27%), *Luzula multiflora* (5-7%), *Brachypodium silvaticum* (2%), *Serratula quinquefolia* (1%); ერთეული სახით - *Campanula rapunculoides*, *Stachys silvatica* და სხვ.

აღვწერეთ საგურამოს ქედის სამხრეთ კალთაზე (საგურამოს ნაკრძალი), ზ.დ. 980 მ სიმაღლეზე. ფიტოცენოზი განვითარებულია ხევთაშორისი სერის დასავლეთის ექსპოზიციის 15-20° დაქანებულ მეზორელიეფზე. ნიაღაგი საშუალო სიღრმის, ხირხატიანი, მომშრალო.

12.3. იფნარი ნაირბალახოვანი საფარით (*Fraxinetum mixtoherbosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, ლაჩაშვილი, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - იფანი (*Fraxinus excelsior*). საბურვლის შეკრულობა 0,7.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (მცირე რაოდენობით) - შინდი (*Cornus mas*), ჭავრცხილა (*Carpinus orientalis*), ასკილი (*Rosa canina*).

იარუსი C: წამყვანი დამახასიათებელი სახეობა - *Asperula caucasica*, *Brachypodium silvaticum*,

Lapsana communis, *Lisimachia vulgaris*, *Melica nutans*, *Serratula quinquefolia*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 30-70% ფარგლებში.

გავრცელებულია საგურამოს ქედის სამხრეთ კალთაზე (საგურამოს ნაკრძალი), ზ.დ. 900-1200 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, ხევთაშორისი სერების ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის ექსპოზიციის 10-30° დაჭანებულ მეზოფერდობებზე, საშუალო სიღრმის, ზომიერად დატენიანებულ ნიადაგებზე.

12.4. რცხილნარ-თხილნარ-იფნარი ხახიას საფარით (*Carpineto-Coryleto-Fraxinetum pachyphragmosum*).

ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, ლაჩაშვილი, 1999.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - იფანი (*Fraxinus excelsior*). კოდომინანტი - რცხილა (*Carpinus caucasica*), ქართული თხილი (*Corylus iberica*). შერეულია მცირე რაოდენობით და ერთეული სახით - წიფელი (*Fagus orientalis*), ცაცხვი (*Tilia caucasica*), ქართული მუხა (*Quercus iberica*), თამელი (*Sorbus torminalis*), ლევა (*Acer platanoides*), თელადუმა (*Ulmus elliptica*). საბურვლის შეკრულობა 0,8.

იარუსი B: ერთეული სახით - შინდი (*Cornus mas*), კუნელი (*Crataegus kytostyla*), კიდობანა (*Evonymus europaea*), მეჭეჭიანი ჭანჭყატი (*Evonymus verrucosa*), ჭიქა (*Lonicera caprifolium*), ასკილი (*Rosa canina*).

იარუსი C: დომინანტი - ხახია (*Pachyphragma macrophyllum*). შერეულია მცირე რაოდენობით - *Asperula caucasica*, *Serratula quinquefolia*, *Stellaria holostea*; ერთეული სახით - *Asperula odorata*, *Brachypodium silvaticum*, *Danava nudicaulis*, *Hordeum europaeum*, *Melica nutans* და სხვ. პროექციული დაფარულობა 40-45%.

აღვწერეთ საგურამოს ქედის სამხრეთ კალთაზე (საგურამოს ნაკრძალი), ზ.დ. 1100 მ სიმაღლეზე. ფიტოცენოზი განვითარებულია დასავლეთის ექსპოზიციის 20-25° დაჭანებულ ფერდობზე. ნიადაგი საშუალო სიღრმის, ზომიერად დატენიანებული.

13. ფიჭვნარები ბიჭვინთის ფიჭვისაგან (*Pineta; Pinus pithyusa*)

ბიჭვინთის ფიჭვის (*Pinus pithyusa*) მიერ შექმნილი ტყე - ფიჭვნარი გავრცელებულია საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში (აფხაზეთი). ტყის ფიტოცენოზების უმეტესი ნაწილი გვხვდება ვაკეზე - ბიჭვინთის კონცხზე. აქ, ზღვის სანაპირო ვაკეზე, ქვიშნარ ნიადაგზე განვითარებულია ერთხნოვანი (140-160 წლის), კალთაშეკრული, მაღალი წარმადობის ფიჭვნარი კორომები.

ძირეული, ნაირხნოვანი, მეჩხერი, დაბალი წარმადობის ფიჭვნარები განვითარებულია ბიჭვინთის კონცხისა და გაგრის მიმდებარე კირქვიანი მთების სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე. ლოკალურად აქაც გვხვდება ერთხნოვანი ფიჭვნარი კორომები (ნახანდრალზე).

საღლეისოდ ბიჭვინთის ფიჭვის ტყის საერთო ფართობი დაახლოებით 300 ჰა-ს შეადგენს. მათ შორის უმეტესი ნაწილი (დაახლოებით 250 ჰა) ბიჭვინთის კონცხზეა განვითარებული. ბიჭვინთის ფიჭვის ტყეში გამოყოფილია რამდენიმე ასოციაცია.

13.1. ფიჭვნარი საქმელას ქვეტყით და მარცვლოვანთა საფარით (*Pinetum graminosocistosum*).

დოლუხანოვი, 1987.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ბიჭვინთის ფიჭვი (*Pinus pithyusa*). საბურვლის შეკრულობა 0,8-0,9.

იარუსი B: დომინანტი - საკმელა (*Cistus ponticus = C.tauricus*). დამახასიათებელი სახეობა - თაგვისარა (*Ruscus ponticus*), ზღმარტლი (*Mespilus germanica*), სურო (*Hedera caucasigena*). ქვეტყე განვითარებულია არათანაბრად, პროექციული დაფარულობა 60-70%.

იარუსი C: დომინანტი - *Brachypodium silvaticum*, *Festuca montana*, *Sesleria anatolica*. დამახასიათებელი სახეობა - *Luzula forsteri*, *Poa nemoralis*, *Psoralea betuminosa*. საფარი განვითარებულია არათანაბრად, პროექციული დაფარულობა 50-70%. გავრცელებულია ბიჭვინთის კონცხები.

13.2. ფიჭვნარი ჭაგრცხილას ქვეტყით (*Pinetum carpinulosum*).

ვაჩაძე, 1949; დოლუხანოვი, 1987.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ბიჭვინთის ფიჭვი (*Pinus pithyusa*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,7.

იარუსი B: დომინანტი - ჭაგრცხილა (*Carpinus orientalis*). დამახასიათებელი სახეობა - თაგვისარა (*Ruscus ponticus*), კვიდო (*Ligustrum vulgare*), სურო (*Hedera caucasigena*), ჭიქა (*Lonicera caprifolium*). პროექციული დაფარულობა 70-90(95)%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Brachypodium silvaticum*, *Festuca montana*. პროექციული დაფარულობა 5-10%. გავრცელებულია ბიჭვინთის კონცხები.

13.3. ფიჭვნარი თაგვისარას ქვეტყით (*Pinetum ruscosum*).

ვაჩაძე, 1949; დოლუხანოვი, 1987.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ბიჭვინთის ფიჭვი (*Pinus pithyusa*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,8.

იარუსი B: დომინანტი - თაგვისარა (*Ruscus ponticus*). პროექციული დაფარულობა 60-80%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - *Brachypodium silvaticum*, *Festuca montana*, *Poa nemoralis*, *Psoralea betuminosa*, *Sesleria anatolica*. პროექციული დაფარულობა 25-50%. გავრცელებულია ბიჭვინთის კონცხები. გვხვდება მომცრო ნაკვეთების და ფრაგმენტების სახით.

13.4. ფიჭვნარი მარცვლოვანთა საფარით (*Pinetum graminosum*).

ვაჩაძე, 1949, დოლუხანოვი, 1987.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ბიჭვინთის ფიჭვი (*Pinus pithyusa*). დამახასიათებელი სახეობა - ქართული მუხა (*Quercus iberica*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა - თრიმლი (*Cotinus coggygria*), კვიდო (*Ligustrum vulgare*). პროექციული დაფარულობა 10-15%.

იარუსი C: დომინანტი - სესლერია (*Sesleria anatolica*). წამყვანი დამახასიათებელი სახეობა - *Anthemis euxina*, *Brachypodium silvaticum*, *Leontodon sp.*, *Poa nemoralis*. პროექციული დაფარულობა 50-60%.

გავრცელებულია ჩრდილო კოლხეთის ზღვისპირა მთების სამხრეთის ექსპოზიციის 20-35° დაჭანებულ ფერდობებზე, თხელ, მომშრალო ნიაღაგებზე.

14. უთხოვრიანები (*Taxeta; Taxus baccata*)

უთხოვრის ანუ ურთხელის (*Taxus baccata*) გაბატონებით ტყის დაზგუფებები (ფიტოცენოზები) გავრცელებულია მდ. ალაზნის სათავეებში, ალაზნის მარჯვენა შენაკადის - მდ. ბაწარას ხეობაში (ბაწარის ნაკრძალი). უთხოვრის დომინირებით ან მისი მნიშვნელოვანი მონაწილეობით ტყე (უთხოვრიან-წიფლნარი) გავრცელებულია ზ.დ. 850-1500 მ ფარგლებში, საერთო ფართობით 259 ჰა. უთხოვრის ედიფიკატორობით ტყის კორომები გვხვდება, უმეტესად,

მომცრო ნაკვეთების სახით, ზ.დ. 900-1300 მ ფარგლებში, საერთო ფართობით დაახლოებით 100 ჰა.

უთხოვრიანი ფიტოცენოლოგიურად (ტიპოლოგიურად) ერთგვაროვანია.

14.1. უთხოვრიანი სუროს საფარით (*Taxetum hederosum*).

დოლუხანოვი, 1948; ქვაჩაკიძე, იაშალაშვილი, 1991, 1992.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - უთხოვარი (*Taxus baccata*). დამახასიათებელი სახეობა - წიფელი (*Fagus orientalis*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,8.

იარუსი B: დომინანტი - პასტუხოვის სურო (*Hedera pastuchovii*). დამახასიათებელი სახეობა - მელიქაური (*Daphne pontica*), მაყვალი (*Rubus caucasicus*). პროექციული დაფარულობა 25-30%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - *Cephalanthera rubra*, *Circaea lutetiana*, *Dryopteris filix mas*, *Pachyphragma macrophyllum*.

გავრცელებულია მდ. ბაჭარის მარჯვენა სანაპიროზე, ზ.დ. 900-1300 მ ფარგლებში. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, ჩრდილოეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის ექსპოზიციის დიდი დაქანების ($30-40^{\circ}$) ფერდობებზე და თხემურ შემაღლებებზე, მოტენიანო ნიაღაგებზე.

15. ძელქვნარები (*Zelkoveta; Zelkova carpinifolia*)

ძელქვნარები გავრცელებულია ლოკალურად. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, კოლხეთის დაბლობზე, სოფელ აჯამეთან შემორჩენილია ძელქვნარი 1,5 ჰა ფართობზე (აჯამეთის ცნობილი ტყე - ძელქვნარი და იმერული მუხის მუხნარი მე-19 საუკუნეში 10 000 ჰა ფართობზე იყო განვითარებული). აღმოსავლეთ საქართველოში ძელქვნარი გავრცელებულია შიდა კახეთში, სოფლების - ბაბანეურის, არგოხის და ლალისყურის მიდამოებში, აგრეთვე მდ. სტორის მარჯვენა სანაპიროზე. ძელქვნარის საერთო ფართობი 241 ჰა-ს შეადგენს.

ძელქვნარი ტყეები ფიტოცენოლოგიურად (ტიპოლოგიურად) არაა მრავალფეროვანი, რაც საერთო ფართობის სიმცირით აიხსნება.

15.1. ძელქვნარი ბერსელას საფარით (*Zelkovetum brachypodiosum*).

ქვაჩაკიძე, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ძელქვა (*Zelkova carpinifolia*). დამახასიათებელი სახეობა - ქართული მუხა (*Quercus iberica*), ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*). საბურვლის შეკრულობა 0,7-0,8.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა (ერთეული სახით) - შინდი (*Cornus mas*), კვიდო (*Ligustrum vulgare*).

იარუსი C: დომინანტი - ბერსელა (*Brachypodium silvaticum*). დამახასიათებელი სახეობა - *Campanula rapunculoides*, *Dactylis glomerata*, *Lathyrus pratensis*, *Melica uniflora*, *Vicia truncatula*, *Viola alba*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 20-50% ფარგლებში.

გავრცელებულია შიდა კახეთში (ბაბანეურის ნაკრძალი), ზ.დ. 550-650 მ სიმაღლეზე. გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ექსპოზიციის 15-20° დაქანებულ ფერდობებზე, საშუალო სილრმის, მომშრალო ნიაღაგებზე.

15.2. ჯაგრცხილნარ-ძელქვნარი მთის წივანას საფარით (*Carpinuleto-Zelkovetum festucosum*).

ქვაჩაკიძე, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ძელქვა (*Zelkova carpinifolia*). კოდომინანტი - ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*). შერეულია მცირე რაოდენობით და ერთეული სახით - რცხილა (*Carpinus caucasica*), მინდვრის ნეკერჩხალი (*Acer campestre*). საბურვლის შეკრულობა 0,9.

იარუსი B: შინდი (*Cornus mas*), კვიდო (*Ligustrum vulgare*), ჯიქა (*Lonicera caprifolium*). პროექციული დაფარულობა 2-3%.

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). შერეულია მცირე რაოდენობით და ერთეული სახით - *Asplenium adiantum nigrum*, *Brachypodium silvaticum*, *Campanula rapunculoides*, *Carex divulsa*, *Lathyrus roseus*, *Lithospermum purpureo coeruleum*, *Melica uniflora*, *Viola odorata* და სხვ. პროექციული დაფარულობა 20-25%.

გავრცელებულია შიდა კახეთში. აღვწერეთ ბაბანეურის ნაკრძალში, ზ.დ. 450 მ სიმაღლეზე. ფიტოცენოზი განვითარებულია კახეთის კავკასიონზე, აღმოსავლეთის ექსპოზიციის 15-18° დაქანებულ ფერდობზე, ხირხატიან, მომშრალო ნიადაგზე.

15.3. რცხილნარ-ძელქვნარი ჭაგრცხილიან-მთის წივანიანი (Carpineteto-Zelkovetum carpinuloso-festucosum).

ქვაჩაკიძე, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ძელქვა (*Zelkova carpinifolia*). კოდომინანტი - რცხილა (*Carpinus caucasica*). შერეულია მცირე რაოდენობით და ერთეული სახით - ქართული მუხა (*Quercus iberica*), იფანი (*Fraxinus excelsior*), მინდვრის ნეკერჩხალი (*Acer campestre*), პანტა (*Pirus caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,8-0,9.

იარუსი B: დომინანტი - ჭაგრცხილა (*Carpinus orientalis*). შერეულია მცირე რაოდენობით - ჭიქა (*Lonicera caprifolium*). პროექციული დაფარულობა 35-40%.

იარუსი C: დომინანტი - მთის წივანა (*Festuca montana*). შერეულია - *Brachypodium silvaticum*, *Campanula rapunculoides*, *Lathyrus pratensis*, *Melica uniflora*, *Viola alba*, *V.odorata* და სხვ. პროექციული დაფარულობა 30-40%.

გავრცელებულია კახეთის კავკასიონზე (ბაბანეურის ნაკრძალი). აღვწერეთ ზ.დ. 520 მ სიმაღლეზე. ფიტოცენოზი განვითარებულია ჩრდილოეთის ექსპოზიციის 15-20° დაქანებულ ფერდობზე, საშუალო სიღრმის, ხირხატიან, მომშრალო ნიადაგზე.

15.4. ძელქვნარი ნაირმარცვლოვანი საფარით (Zelkovetum mixtograminosum).

ქვაჩაკიძე, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ძელქვა (*Zelkova carpinifolia*). შერეულია ერთეული სახით - ჭაგრცხილა (*Carpinus orientalis*). საბურვლის შეკრულობა 0,7.

იარუსი B: მცირე რაოდენობით და ერთეული სახით - შინდი (*Cornus mas*), კვიდო (*Ligustrum vulgare*), ძეძვი (*Paliurus spina christi*).

იარუსი C: წამყვანი სახეობა - *Brachypodium silvaticum*, *Dactylis glomerata*, *Melica uniflora*. შერეულია მცირე რაოდენობით - *Asplenium adiantum nigrum*, *Campanula rapunculoides*, *Lithospermum purpureo coeruleum* და სხვ. პროექციული დაფარულობა 45-50%.

აღვწერეთ ბაბანეურის ნაკრძალში, ზ.დ. 660 მ სიმაღლეზე. ფიტოცენოზი განვითარებულია სამხრეთის ექსპოზიციის 18-20° დაქანებულ ფერდობზე, საშუალო სიღრმის, ხირხატიან, მშრალ ნიადაგზე.

15.5. ძელქვნარი ისლის საფარით (Zelkovetum caricosum).

ქვაჩაკიძე, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ძელქვა (*Zelkova carpinifolia*). შერეულია მცირე რაოდენობით (მეორე ქვეიარუსში) - ჭაგრცხილა (*Carpinus orientalis*). საბურვლის შეკრულობა 0,7.

იარუსი B: კვიდო (*Ligustrum vulgare*), კუნელი (*Crataegus kytostyla*), ჭაგრცხილა (*Carpinus orientalis*), შინდი (*Cornus mas*), ჭიქა (*Lonicera caprifolium*), უასმინი (*Jasminum fruticans*). პროექციული დაფარულობა 5-7%.

იარუსი C: დომინანტი - ბუშის ისლი (*Carex buschiorum*). შერეულია მცირე რაოდენობით და ერთეული სახით - *Asplenium adiantum nigrum*, *Carex divulsa*, *Clinopodium umbrosum*, *Dactylis glomerata*, *Lathyrus pratensis*, *Lithospermum purpureo coeruleum* და სხვ. პროექციული დაფარულობა 50-65%.

აღვწერეთ ბაბანეურის ნაკრძალში, ზ.დ. 460 მ სიმაღლეზე. ფიტოცენოზი განვითარებულია კახეთის კავკასიონის წინამთაზე, სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის 5-6° დაქანებულ ფერდობზე, საშუალო სიღრმის, ხირხატიან (ზოგან ქვიან), მომშრალო-მშრალ ნიადაგზე.

15.6. ძელქვნარი ნაირმარცვლოვან-ისლიანი საფარით (*Zelkovetum mixtograminoso-caricosum*).

ქვაჩაკიძე, 1991.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ძელქვა (*Zelkova carpinifolia*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,3-0,7 ფარგლებში.

იარუსი B: დამახასიათებელი სახეობა - ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*), კვიდო (*Ligustrum vulgare*). ტყის გამეჩხერებულ უბნებში (საბურვლის შეკრულობა 0,3-0,4) შექმნილია ქვეტყე ჯაგრცხილას (*Carpinus orientalis*) დომინირებით.

იარუსი C: წამყვანი (დომინანტი) სახეობა - ბერსელა (*Brachypodium silvaticum*), ისლი (*Carex divulsa*), სათითურა (*Dactylis glomerata*). დამახასიათებელი სახეობა - *Asplenium adiantum nigrum*, *Clinopodium vulgare*, *Geum urbanum*, *Lithospermum purpureo coeruleum*. პროექციული დაფარულობა ცვალებადობს 20-60% ფარგლებში.

შედარებით ფართოდაა გავრცელებული ბაბანეურის ნაკრძალში, კახეთის კავკასიონის წინამთაზე, ზ.დ. 450-550 მ სიმაღლეზე. გვხვდება სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის 12-25° დაქანებულ ფერდობებზე, მომშრალო და მშრალ ნიადაგებზე.

16. მუხნარები იმერული მუხისაგან (*Querceta; Quercus imeretina*)

მუხნარები, შექმნილი იმერული მუხისაგან (*Quercus imeretina*), გავრცელებულია კოლხეთის დაბლობზე და გარემომცველი მთების კალთებზე. ჰიფსომეტრიული გავრცელების ზემო საზღვარი ზ.დ. 300-400 მ-ია. მუხნარის შედარებით მოზრდილი მასივი (დაახლოებით 5000 ჰა) შემორჩენილია სოფელ აჯამეთთან (აჯამეთის ნაკრძალი). საკმაოდ მოზრდილი მუხნარის მასივი (480 ჰა) მდებარეობს ქ. ქუთასთან (ე.წ. „სალორიას ტყე“). მომცრო ნაკვეთების და ფრაგმენტების სახით იმერული მუხნარი დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებშიც აღინიშნება (ბალდადის, სვირის, ვანის მიდამოები).

იმერული მუხის ტყეები ფიტოცენოლოგიური (ტიპოლოგიური) მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა.

16.1. მუხნარი იელის ქვეტყით (*Quercetum azaleosum*).

მათიკაშვილი, 1948; მახათაძე, 1964; ბახსოლიანი, 1972.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - იმერული მუხა (*Quercus imeretina*). დამახასიათებელი სახეობა - კოლხური მუხა (*Quercus hartwissiana*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,7.

იარუსი B: დომინანტი - იელი (*Rhododendron luteum = Azalea pontica*). დამახასიათებელი სახეობა - იმერული ხეჭრელი (*Rhamnus imeretina*), შინდანწლა (*Thelycrania australis*), ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*), თაგვისარა (*Ruscus ponticus*), ეკალიჭი (*Smilax excelsa*). პროექციული დაფარულობა 50-80%.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - მარცვლოვანები (ერთეული სახით).

გავრცელებულია შედარებით ფართოდ კოლხეთის დაბლობზე (აჯამეთის ნაკრძალი, სალორიას ტყე და სხვ.), ზ.დ. 100-200 მ ფარგლებში. გვხვდება, უმეტესად, ამოზნექილ მეზორელიეფზე, ზომიერად დატენიანებულ ნიადაგებზე.

16.2. მუხნარი კორობელას ქვეტყით (*Quercetum hypericosum*).

მათიკაშვილი, 1948; მახათაძე, 1964.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - იმერული მუხა (*Quercus imeretina*). დამახასიათებელი სახეობა - კოლხური მუხა (*Quercus hartwissiana*). საბურვლის შეკრულობა 0,6-0,8.

იარუსი B: დომინანტი - კორობელა (*Hypericum inodorum*). პროექციული დაფარულობა 20-30%.

იარუსი C: საფარი არ არის განვითარებული.

გავრცელებულია კოლხეთის დაბლობზე (აჯამეთის ნაკრალი, საღორიას ტყე და სხვ.). გვხვდება შედარებით იშვიათად, ამოზნექილ მეზორელიეფზე, ასევე კარგად დრენირებულ პლაკორზე.

16.3. მუხნარი ჭაგრცხილას ქვეტყით (*Quercetum carpinulosum*).

მათიკაშვილი, 1948; მახათაძე, 1964; ბახსოლიანი, 1972.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - იმერული მუხა (*Quercus imeretina*). დამახასიათებელი სახეობა - ძელქვა (*Zelkova carpinifolia*), რცხილა (*Carpinus caucasica*). საბურვლის შეკრულობა 0,5-0,6.

იარუსი B: დომინანტი - ჭაგრცხილა (*Carpinus orientalis*). პროექციული დაფარულობა 30-40%.

იარუსი C: საფარი არ არის განვითარებული.

გავრცელებულია კოლხეთის დაბლობზე (აჯამეთის ნაკრალი, საღორიას ტყე). გვხვდება შედარებით ამაღლებულ მშრალ ადგილებში.

16.4. მუხნარი მარცვლოვან-ნაირბალახოვანი საფარით (*Quercetum graminoso-mixtoherbosum*).

მათიკაშვილი, 1948; მახათაძე, 1964.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - იმერული მუხა (*Quercus imeretina*). საბურვლის შეკრულობა 0,4-0,6.

იარუსი C: დამახასიათებელი სახეობა - მარცვლოვნები ნაირბალახების შერევით.

გავრცელებულია კოლხეთის დაბლობზე (აჯამეთის ნაკრალი, საღორიას ტყე და სხვ.). გვხვდება მომცრო ნაკვეთების სახით, ვაკეზე, ჩადაბლებულ (მეზოფილურ) ადგილებში.

17. მუხნარები ჭოროხის მუხისაბან (*Querceta; Quercus dschorochensis*)

გავრცელებულია მდ. ჭოროხის და მისი შენაკადების (მდ. აჭარისწყალი და სხვ.) ხეობაში, ზ.დ. 700-800 მ სიმაღლემდე. მდ. აჭარისწყლის აუზში განვითარებულია სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მცირე სილრმის, ხირხატიან, მშრალ და მომშრალო ნიადაგებზე.

17.1. მუხნარი მარცვლოვანთა საფარით (*Quercetum graminosum*).

მახათაძე, 1964; ბახსოლიანი, 1972.

იარუსი A: დომინანტი, ედიფიკატორი - ჭოროხის მუხა (*Quercus dschorochensis*). დამახასიათებელი სახეობა - რცხილა (*Carpinus caucasica*), უხრავი (*Ostrya carpinifolia*), პანტა (*Pyrus caucasica*). საბურვლის შეკრულობა ცვალებადობს 0,4-0,7 ფარგლებში.

